# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ფასი 1 ლარი

№72 (9752) 2024 წლის 19 ივნისი. ოთხშაბათი


# გაუმარჯოს წაგებაშიც არდანებებას!



გიორგი მიქაუტაძის პირველი გოლის სიხარული

**გუშინ დორტმუნდში, თავსხმა წვიმაში, ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში თურქეთის ნაკრებს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ! იყო მომენტები, როცა საქართველოს ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა ნაკრები გეგონებოდათ. გიორგი მიქაუტაძის ულამაზესი გოლი სამუდამოდ ჩაიწერება ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მოედანზე ბრწყინავდნენ გიორგი ქოჩორაშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, ხვიჩა კვარაცხელია, გიორგი მამარდაშვილი, გურამ კაშია...**

**მთელი გუნდი თავგანწირვით იბრძოდა!**

**კოშმარული ამინდი და სპორტული ფორტუნის ღალატი რომ არა ეს მატჩი მინიმუმ ფრედ მაინც უნდა დამთავრებულიყო!**

**გული არ გაიტეხოთ, ბიჭებო! ჩემპიონატი მხოლოდ ახლა დაიწყო...**

## კობახიძე და ღარიბაშვილი მართლაც შესანიშნავი წყვილია...

3

## FOR AMERICA

### დადუნ თურქაძე

...მოდით, თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ, ჩვენ წავალთ ჩვენთვის

9

### ნუგზარ რუხაძე:

## ევროპის ორი ლიდერი ქვეყნის ამომრჩეველმა საკუთარ მთავრობებს წითელ-ყვითელი ბარათები აჩვენა!

4



## ხვიჩა კვარაცხელია:

# საქართველო მოიგებს ევროპის ჩემპიონატს!

### კვარაცხელიას წერილი The Players' Tribune-ში.

„აბა ჯერ ქართველებს კითხეთ?“

„კარგი, მოდი ასეთი რამე ვცადოთ.

კითხე ნებისმიერ ქართველს, ვინ მოიგებს ევროპის ჩემპიონატს.

ჩვეულებრივ, გამვლელ ქართველს. პატარა ბავშვს, მაღაზიის გამყიდველს... არ აქვს მნიშვნელობა.

კითხე! იცით რა მოხდება?

ჯერ, სანამ გიპასუხებენ ... შეგხედავენ. ეს ნეტა გიჟი ხო არააო?

ვინ მოიგებსო??

„საქართველო მოიგებს ევროპის ჩემპიონატს. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა“.

მოგაშტერდებიან ასეთი კითხვის დასმისთვის: დებილი ხომ არ ხარ?

„საქართველო თუ არა – ვინ მოიგებს?!“

„სულელი ხარ. ძალიან სულელი.“

ზოგი ამბობს: „თქვენ ხომ პირველად გადიხართ ევროპის ჩემპიონატზე“

არა უშავს! არ აქვს მნიშვნელობა!

„საქართველო მოიგებს!“ ასე გიპასუხებს მოხუცებული ქალბატონი.

ქართველები ასეთები არიან ყველაფერში.

იცი, რომელია საუკეთესო სამზარეული?

ესპანური? იტალიური? იაპონური? ჰაჰაჰაჰა.

ქართული!!!

საუკეთესო მუსიკა?

ქართული!!!

მართლა, არ ვიცი რატომაა ასე. ალბათ უფლისგან მოდის. თითქოს ასეთებად ვიბადებით. საქართველოში ყველაფერი საუკეთესოა.

მეც ასე ვამბობ.

ასე რომ, ჩემთვის რა თქმა უნდა, ხინკალი საუკეთესო კერძია და, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება. მე არ გამოვრიცხავ!

ახლა ჩემი აქ ყოფნა გამაოგნებელია. დიდი არ ვარ, ჯერ მხოლოდ 23 წლის ვარ, მაგრამ ბევრი ღელვა გამოვიარე – ცხოვრებაში, ფეხბურთში. სერიოზული რბოლა, ნამდვილი ამერიკული მთები, თუ რა ქვია იმ ატრაქციონს? **Roller coaster**. ასეთია ჩემი ცხოვრება.

მოგიყვები.

პატარა რომ ვიყავი, ზაფხულში, როდესაც სკოლა არ იყო, ყოველ დღე გავდიოდით გარეთ ფეხბურთის სათამაშოდ. ბავშვები ბევრნი ვიყავით. პატარა ტურნირებს ვაწყობდით. ოთხი კორპუსი იყო და ცენტრში გვქონდა „სტადიონი“ ოღონდ ცემენტის. მოგვიანებით, ტორფი გვეღირსა, მაგრამ თავიდან ცემენტზე ვთამაშობდით. სულ ახლეჩილი გვქონდა ხოლმე მუხლები, დასისხლიანებული.

და ყველაზე მაგარი იცი რა იყო? ხალხი ფანჯრებიდან გვიყურებდა, ჩვენი გულშემატკივრები იყვნენ.

ქართველებს უყვართ სპორტი, მაგრამ ფეხბურთი მაინც განსაკუთრებულად. სულ ასე იყო. რა მატჩიც არ უნდა იყოს–მაინც უყურებენ. ამხანაგური იქნება, თუ გარეთ მოთამაშე ბავშვები–არ აქვს მნიშვნელობა, მაყურებელი ყოველთვის გყავს.

ხანდახან ღამე ვთამაშობდით, როცა წესით ბავშვებს სძინავთ. ვიწყებდით ხოლმე ჩხუბს და თამაშზე კამათს და ბავშვებს ვაღვიძებდით. მშობლები გვიბრაზდებოდნენ და ეს იყო ღამის თამაშების დასასრული. ნამეტანს ვხმაურობდით და დაგვასრულებინეს ჩვენი „ჩემპიონთა ლიგა“.

მე ძალიან არ ვყვიროდი, ძირითადად მშვიდად ვიყავი. პირველი არასოდეს ვიწყებდი ჩხუბს. ზოგჯერ ამბობდნენ ეს ბიჭი მორცხვიაო (ახლაც ასე ამბობენ), მაგრამ არ ვარ მორცხვი, უბრალოდ ყველას პატივს ვცემ.

მაგრამ. მაგრამ!!!

ჩემს მეგობრებს ან ახლობლებს თუ ეხებიან, ვმხეცდები. მენტალიტეტია ასეთი, ხომ გესმის? მე პირველი არასოდეს ვიწყებ ჩხუბს, მაგრამ შემიძლია დავასრულო. განსაკუთრებით, მეგობარი თუ მყავს გასაჭირში და უნდა დავეხმარო.

დედაჩემი ვერ იტანდა ამ ჩემს ჩვევას. სულ მეუბნებოდა „რატომ ჩხუბობ? დაწყნარდი.“

მაგრამ, ჩემს სამშობლოში მეგობარს გასაჭირში არავინ დატოვებს.

თბილისის „დინამოს“ აკადემიაში სიარულისას მეტი ფეხბურთი და ნაკლები ჩხუბი მქონდა. სწავლება ისეა გამართული, იცი რომ შეგიძლია კარგი ფეხბურთელი გამოხვიდე. შეხედე ჩვენს ეროვნულ ნაკრებს - თითქმის ყველა მოთამაშემ ამ აკადემიაში ისწავლა.

ძნელი იყო. პირველ გუნდში ვიყავი და ჩემზე უფროსი მოთამაშეები ცოტა სხვანაირად მიყურებდნენ, თითქოს ამბობდნენ: „ეს ბიჭიღა გვაკლდა!“

მაშინ პატარა ვიყავი და არავინ მიცნობდა.

„ვინაა საერთოდ ეს ბიჭი?“ 15 წლის ვიქნებოდი სერიოზულ მოთამაშეებთან მქონდა საქმე და ჩემი მისამართით შემთხვევით გამიგონია ნათქვამი: „ახლა ეს ბიჭიც თამაშობს და ალბათ წავაგებთ“ ან კიდევ: „არა რა, ოღონდ ეს ბიჭი არა“.

ცოტა მეტირებოდა ვფიქრობდი, რომ ცუდად ვთამაშობდი და გული მტკიოდა. ასე რომ ჩემს თავს ვუთხარი: მე ამათ ნაღდად უნდა ვანახო, რომ შემიძლია კარგად თამაში.

ჩემი მენტალიტეტი მაშინ გამაგრდა. მოტივაცია იყო ჩემთვის და მარგო...

იხ. მე-7 გვ.

# მთავრობა მუშაობს

- ბიუჯეტს 360 მილიონი ლარი ემატება
- მასწავლებლებს ხელფასები ეზრდებათ
- ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედებას განაგრძობს



## საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის 17 ივნისის სხდომა ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებზე საუბრით დაიწყო, რამაც მთავრობას ბიუჯეტის 360 მილიონი ლარით გაზრდის შესაძლებლობა მისცა.

**მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ გაზრდილი ბიუჯეტი ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, თავდაცვის სფეროებსა და რეგიონული განვითარების მიმართულებაზე გადანაწილდება.**

„პირველი ოთხი თვის განმავლობაში დადასტურდა 9%-იანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. ეს გვაძლევს ბიუჯეტის გაზრდის შესაძლებლობას. სამომავლოდ შევა შესაბამისი ცვლილებები ბიუჯეტში და წელს დაგვემატება 360 მილიონი ლარი. ეს ზრდა არსებითად გადანაწილდება ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, თავდაცვა ასევე რეგიონული განვითარება. ძალიან მნიშვნელოვანია არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება, ზრდის კიდევ უფრო მეტად დაჩქარება, რაც პირდაპირ აისახება ბიუჯეტზე და ეს მონაცემებიც ამის ძალიან კარგი მაგალითია".

გარდა ამისა, პირველი ივლისიდან მასწავლებლების შრომის ანაზღაურების ახალი სქემა ამოქმედდება, რომლის მიხედვით 37 000 მასწავლებელს, რაც მასწავლებლების კონტინგენტის 70%-ია, ანაზღაურება გაეზრდება სულ მცირე 500 ლარით, მათ შორის, მასწავლებელთა გარკვეულ კატეგორიას შრომის ანაზღაურება 800 ლარით გაეზრდება. მომდევნო 4 წლის განმავლობაში რეფორმები გაგრძელდება როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების ყველა სფეროში.

***

**მთავრობის მეთაური სხდომაზე ტურიზმსა და ავიაციაში არსებულ რეკორდულ მაჩვენებლებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ წელს მთავრობა ტურიზმიდან 4,5 მილიარდი დოლარის შემოსავლებს და 7,9 მილიონ საერთაშორისო მოგზაურს ელოდება.**

პრემიერის თქმით, კვარტალურ ჭრილში დადასტურდა რეკორდული შემოსავლები ტურიზმიდან – 808 მილიონი დოლარი, რამაც პანდემიამდელ მაჩვენებელს 40 პროცენტით გადააჭარბა.

„ეს არის რეკორდული მაჩვენებელი. ჩვენ ამ კვარტალში ვუმასპინძლეთ მილიონ 300 ათას საერთაშორისო მოგზაურს, რაც შარშანდელთან შედარებით არის 8-პროცენტიანი ზრდა. რაც შეეხება საერთაშორისო ტურისტებს, აქაც გვაქვს რეკორდული მაჩვენებელი – ჩვენს ქვეყანაში ერთი კვარტლის განმავლობაში ვუმასპინძლეთ 939 ათას ტურისტს", – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერმა ავიაციის სფეროში არსებულ მაჩვენებლებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონზე შესრულდება 13 600 ავიარეისი, რაც ასევე ისტორიული მაქსიმუმია.

***

**ირაკლი კობახიძე მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილის მიერ იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერის შეძენასა და ეროვნული მუზეუმისთვის გადაცემას და მას უპრეცედენტო ქველმოქმედებისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.**

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებამ წლების განმავლობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, შენარჩუნებაში და შესაბამისად – ჩვენი იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებაში.

პრემიერ-მინისტრმა წარმატებები უსურვა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელმაც გუშინ ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა დაიწყო.

# ამერიკელი პროფესორი ჯეფრი საქსი ადასტურებს, რომ ყველაფერი გეოსტრატეგების გეგმის ნაწილია!

**ჩვენი დაპირება, უკრაინა და საქართველო NATO-ს წევრი გამხდარიყო, ამერიკელი გეოსტრატეგების გეგმის ნაწილია, რომ ევრაზიაში ამერიკამ დომინანტობა მოიპოვოს – ამის შესახებ ამერიკელმა პროფესორმა ჯეფრი საქსმა ჟურნალისტ ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში განაცხადა. საქსმა ისაუბრა ამერიკის ჰეგემონობასა და სუპერ სახელმწიფოს ამბიციაზე, მისი თქმით, ამერიკელი გეოსტრატეგების მიზანი იყო შავ ზღვაში დასავლეთის ძალებით რუსეთის მომწყვდევა, შედეგად რუსეთი ძალაუფლებას დაკარგავდა. ამერიკელმა პროფესორმა უკრაინის ომზეც ისაუბრა. მისი თქმით, როცა დასავლეთი არაპროვოცირებულ ომს უწოდებს უკრაინის კონფლიქტს, ეს ტყუილია და მისი მიზანი საზოგადოების სიცრუეში შეყვანაა.**

"არაპროვოცირებული შეჭრა" უწოდო უკრაინის ომს, ეს უფრო არის ზარმაცი ადამიანისთვის, რომელიც ცდილობს გაერკვეს, რა ხდება. ეს საშიშია, რადგან სრულიად არასწორი შეფასებაა და გაუგებრობას ქმნის იმ ხაფანგთან მიმართებით, რომელიც აშშ-მა საკუთარ თავს და უკრაინას დაუდო, რომ უბიძგა უფრო ღრმად შესულიყო „ამ უიმედო ქაოსში". ვინ წამოიწყო ომი ამას ძალიან მარტივი პასუხი აქვს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თქვა, რომ უკრაინა ჩვენს მხარეს უნდა იყოს, ჩვენ გვსურს რუსეთის საზღვართან განვათავსოთ ჩვენი ან ნატოს სამხედროები, შესაძლოა რაკეტებიც. ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც გვსურს, რადგან ჩვენ სუპერსახელმწიფო ვართ. ეს მახსენებს 170 წლის წინ ბრიტანელების იდეას, რომ რუსეთი შავი ზღვის რეგიონში გარშემორტყმული ყოფილიყო დასავლეთის ძალებით, რის შემდეგაც რუსეთი დიდ ძალაუფლებას დაკარგავდა. შემდეგ იყო თურქეთი, შავ ზღვაში გვინდოდა რუმინეთის და ბულგარეთის დამატება, შემდეგ უკრაინის და საქართველოსი.

ჩვენ ვთქვით, მოდით, საქართველო ნატოს წევრი გავხადოთ. ამ იდეის მიზეზი კი ძალიან მკაფიოა. ეს ჩვენი გზა იქნებოდა ევრაზიაში დომინანტობის მოსაპოვებლად. თუ შავ ზღვაში დომინანტები ვიქნებოდით, რუსეთი აღარაფერი იქნებოდა, ეს კი თავისთავად ევრაზიის კონტროლის საშუალებას მოგვცემდა. ეს არის ამერიკის უნიპოლარობა, რომ ჩვენ ვმართავთ მსოფლიოს და ჩვენ ვართ ჰეგემონები.



აშშ-ის საგარეო პოლიტიკას ნეოკონები ადგენენ ბოლო 30 წელია და ნათელია მათი განზრახვა: აშშ უნდა იყოს მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში ერთადერთი სუპერძალა და დომინანტი. ჩვენ ვართ მუდმივი ომის ქვეყანა. ჩვენ უკან არ ვიხედებით. 2002 წელს აშშ ცალმხრივად გამოვიდა ანტიბალისტიკური რაკეტების ხელშეკრულებიდან. გავიხსენოთ ნატოს სამიტი ბუქარესტში, სადაც ბუში გააფრთხილეს მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა, რომ მისი ნაბიჯები საშიში და პროვოკაციული იქნებოდა. უთხრეს რომ ახლა ნამდვილად არ სჭირდებოდათ რუსეთის საზღვართან ნატოს მისვლა. შემდეგ ბუში თავის აზრს მიაწვა და უკრაინას პირობა მისცეს გაწევრიანებაზე.

პუტინი უმეორებდა ამერიკას, რომ ეს არ გაეკეთებინა, რადგან მათთვის წითელი ხაზი იყო. ბუშმა ეს სიტყვები არ მოისმინა. შემდეგ ითქვა – მოდი, საქართველო გავაწევრიანოთ ნატოში, რაც კიდევ ერთი ჩვენი გეგმის ნაწილი იყო. საბოლოოდ ისე აღმოჩნდა, რომ თავად უკრაინას არ უნდოდა NATO. მათ აირჩიეს იანუკოვიჩი, რომელიც ამბობდა, რომ ნეიტრალურები იქნებოდნენ," - აცხადებს ჯეფრი საქსი.

## იენს სტოლტენბერგი:

# ჩინეთმა რუსეთის ომის მხარდაჭერისთვის ფასი უნდა გადაიხადოს

**ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ჩინეთისთვის უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის მხარდაჭერას შედეგები უნდა მოჰყვეს, თუ ის თავის ქცევას არ შეცვლის.**



იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ პეკინი მხარს უჭერს რუსეთის საომარ ძალისხმევას და ამავდროულად, ცდილობს შეინარჩუნოს ურთიერთობები ევროპელ მოკავშირეებთან.

„ეს გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ იმუშავებს", – განაცხადა სტოლტენბერგმა BBC-სთან ინტერვიუში.

მისი თქმით, ჩინეთი რუსეთს უზიარებს უამრავ ტექნოლოგიას, როგორიცაა მიკროელექტრონიკა, რაც უმნიშვნელოვანესია რუსეთისთვის რაკეტების, იარაღის შესაქმნელად, რომელსაც ის უკრაინის წინააღმდეგ იყენებს.

„რაღაც ეტაპზე, ჩვენ უნდა განვიხილოთ რაიმე სახის ეკონომიკური ფასი, თუ ჩინეთი არ შეცვლის თავის ქცევას", - აღნიშნა სტოლტენბერგმა.

**შეგახსენებთ, პეკინს უკვე დაწესებული აქვს გარკვეული სანქციები რუსეთის მხარდაჭერისთვის– გასულ თვეში შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა შეზღუდვები, რომლის სამიზნე დაახლოებით 20 კომპანიაა. ჩინეთი ირწმუნება, რომ რუსეთი მისგან ლეტალურ იარაღს არ ყიდულობს და რომ ის სიფრთხილით ახორციელებს ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტს, კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.**

# GWP-ს აქვს ძალიან დიდი პრობლემები ქალაქში



**„GWP-ს აქვს ძალიან დიდი პრობლემები ქალაქში. ქსელი ამორტიზებულია და საჭიროებს განახლებას, თუმცა ვთანამშრომლობთ კომპანიასთან და ყველა იმ პროექტში, რომელსაც ვიწყებთ, ის აწარმოებს შესაბამის სამუშაოებს", – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მედიის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.**

**„ჩვენ სადაც რეაბილიტაციას ვიწყებთ, პირველი, რასაც ვაკეთებთ, ვთხოვთ აღნიშნულ კომპანიას მათი ქსელის მოწესრიგებას და ახალი პროექტების განხორციელებას. იგივე ხდება ბაგებში, სადაც დაწყებულია სამუშაოები. რა თქმა უნდა, მაქვს ინფორმაცია, რომ მათი ქსელი ამორტიზებულია, საჭიროებს განახლებას და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან. ყველა იმ პროექტში, რომელსაც ვიწყებთ, პირველი მოთხოვნა, რაც გვაქვს არის ქსელის მოწესრიგება, განახლება. კომპანია მოგვყვება, აწარმოებს შესაბამის სამუშაოებს და ამიტომაც ეს სამუშაოები გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელდება.**

**გარდა ამისა, მათი მხრიდან ხშირია მოთხოვნები სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, მაგრამ როდესაც ქალაქში ამ მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობს, კიდევ სხვა ლოკაციებზე დამატებითი სამუშაოების ფრონტის გახსნა, ვფიქრობ, პრობლემაა, პირველ რიგში გადაადგილებისა და საცობების შექმნის თვალსაზრისით, ამიტომ, ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია ამ კომპანიასთან და ყველა დიდ პროექტში მოგვყვება იმისთვის, რომ ქსელი განახლდეს",** – განაცხადა **კახა კალაძემ.**



# ბიძინა ივანიშვილს ახლა სჭირდება დუეტი, ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი მართლაც შესანიშნავი წყვილია

**როგორი იქნება „ოცნების“ ახალი საარჩევნო სია და მოხვდება თუ არა ახლანდელი დეპუტატების უმრავლესობა ამ სიაში? ჯერჯერობით ცნობილი დეტალურად არაფერია, თუმცა სიაზე მუშაობა პარტიას დაწყებული რომ აქვს, ამას დეპუტატი გია ვოლსკი ადასტურებს. ოპოზიციის მხრიდან კი იმაზე საუბარი, თითქოს ამ სიას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი აკომპლექტებს, არასწორია.**

**ეს არჩევნები** იმით არის გამორჩეული, რომ 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები პირველად მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარდება. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სიის პირველი ნომერი პარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი იქნება და შესაძლოა, სიის მიღმა არაერთი დეპუტატი დარჩეს. რა კრიტერიუმებით მოხდება სიის დაკომპლექტება, უცნობია, მაგრამ ანალიტიკოსებს აქვთ მოსაზრება, რომ ის დეპუტატები, რომლებიც აქტიურობით გამოირჩევიან და მედიის ფოკუსში იმყოფებიან, სიის მიღმა დარჩებიან.

ასევე, საუბრობენ სიის შესაძლო პირველ ნომერზე ღარიბაშვილზე და ამბობენ, რომ მისი მთავარი პრივილეგია პარტიაში და „ოცნების“ ამომრჩეველში გავლენებია.



ის ამჟამადაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თუმცა ორივე ირაკლი შესანიშნავი დუეტია, რომელთა გადათამაშებაც ნებისმიერ დროს და ადგილას არის შესაძლებელი.

**„იმის თქმა, რომ ბიძინა ივანიშვილი ადგენს სიებს, არასწორია, უსამართლოა, იმიტომ რომ 2011 წლიდან მოყოლებული, ბიძინა ივანიშვილის მიერ არასდროს არც ერთი გადაწყვეტილება არ ყოფილა, რომ არ ჰქონოდეს ძალიან ინტენსიური კონსულტაციები გუნდის წევრებთან. პოლიტსაბჭოს წევრი ვარ და ამ საკითხებთან მიმართებაში მე არ მგონია, რომ რაიმე ახალი შემოიტანოს დღევანდელობამ, რომ ერთმა კაცმა თუნდაც, ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება და ვინ არ იქნება სიაში. ამაზე საკმაოდ ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს და მე ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში იქნება გამოტანილი ამ კონსულტაციების შედეგები“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს ახლა სჭირდება დუეტი, ამიტომ ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი ამ მიმართულებით შესანიშნავი წყვილია. ძაბირაძე ფიქრობს, რომ თუკი საჭირო გახდება ჩანაცვლება, ამასაც ადვილად მოახერხებს.

**„საპარლამენტო მმართველობაში დაუწერელი პრინციპია, რომ გამარჯვებული პარტიის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი ხდება. შესაბამისად, საარჩევნო სიის სათავეში სწორედ მისი თავმჯდომარე დგას. ამიტომ, ერთი მხრივ, ეს ბუნებრივია და, მეორე მხრივ, ესაა განაცხადი იმაზე, რომ ღარიბაშვილი პრემიერად შესაძლოა ისევ დაბრუნდეს. სავარაუდოდ, ღარიბაშვილის პირველ ნომრად გამწესება სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული. პირველ რიგში, მას პარტიულ ელიტაზე უფრო მეტი გავლენა აქვს და ამაზე მე მგონი თავადაც არ დავობენ. გარდა ამისა, ივანიშვილი, მაინც მგონია, თუ ვინმეს ენდობა პარტიაში, ყველაზე მეტად ღარიბაშვილს და ეს მან დაიმსახურა კიდევაც.**

**მე მაინც იმ აზრზე ვარ, რომ ღარიბაშვილი კი არ გადააყენა, ის უბრალოდ, ფაქტობრივად, პირდაპირ დარტყმებს მოაშორა. ის დღეს პრემიერი რომ ყოფილიყო, მთელი ეს ნეგატიური ტალღა მისკენ იქნებოდა მიმართული. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნების შემდეგ ის დასავლეთთან კომუნიკაციისთვის დასჭირდეს. თუ იმას ჩავთვლით, რომ მას ამ კანონთან დაკავშირებით სრულიად სხვა პოზიცია აქვს და დასავლეთთან ურთიერთობაში ხიდები მაინც არ დაწვა. ვფიქრობ, მას აქვს კიდევ რესურსი, რომ თუკი საჭირო გახდა, შეძლოს პარტნიორებთან ახალი კომუნიკაცია. ბევრი ვერსია შეიძლება იყოს. თუმცა, მას რომ „ოცნების“ ძველ ამომრჩეველზე და თავად პარტიის შიგნით გავლენები აქვს, ეს ნათლად ჩანს“, - ამბობს ძაბირაძე.**

რაც შეეხება სიის სხვა წევრებს, ძაბირაძე



ფიქრობს, რომ დეპუტატებიდან ვინც უფრო ჩუმი და წყნარია, ზღვარს გადასული არ არის და მედია ფოკუსირებას არ აკეთებს, დიდი ალბათობით, სიაში ისევ იქნება.

**„რომელი დეპუტატებიც აქტიურები და ამ ორომტრიალში არიან ჩართულები, უფრო სხვა დივიდენდებს მიიღებენ ივანიშვილის მხრიდან, ვიდრე სიაში მოხვედრაა. დღევანდელი მმართველი გუნდის ელიტა, რომელიც ოპოზიციის ლანძღვა-გინებაში არიან ჩართულები და ამ კანონთან უფრო დაკავშირებულები, თავგამოდებული დამცველები არიან, მგონია, საპარლამენტო სიაში მოხვედრის შანსი არ აქვთ. რაღაცა ჯგუფი, ალბათ, მოხვდება, თუმცა ყველა ვერა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ, ვინც საზოგადოებაში უფრო ნეგატიურ განწყობებს აჩენს, მათ თამაშიდან გაიყვანენ. რაც შეეხება კობახიძეს, მას უფრო არჩევნების შემდეგ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ვხედავ“, – ამბობს ძაბირაძე.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე**



მიიჩნევს, რომ საპარლამენტო სიაში სიის პირველი ნომერი ვინც არის, ის, დიდი ალბათობით, პრემიერი ხდება. თუმცა საყვარელიძე ფიქრობს, რომ შესაძლოა, ასე არ მოხდეს, რადგან კობახიძემ ამ პერიოდში ვითარებას თავი ძალიან კარგად გაართვა და კანონთან დაკავშირებით საკმაოდ პრინციპული პოზიციები დაიკავა.

**„სიის პირველ ნომრად როდესაც ადამიანს ასახელებენ, წესი ასეთია, რომ თუ პარტია იმარჯვებს, ის პრემიერი ხდება. არაა იმაში არაფერი გამორიცხული, რომ ღარიბაშვილი მესამედაც დაბრუნდეს პრემიერად. თუმცა კობახიძემ ამ პერიოდში ვითარებას თავი გაართვა და საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ქვეყანა მართა და მართავს. თუმცა არც ის დაგვავიწყდეს,**




**რომ ღარიბაშვილმა უკრაინის ომის შემდეგ არანაკლებ წნეხს გაუძლო. ამიტომ „ოცნებისთვის“ მგონია ორივე ირაკლი საკმაოდ კარგი დუეტია და თუკი რომელიმეს სადმე გადაყვანა გახდება საჭირო, იმის მიხედვით იმოქმედებენ. ამიტომ მე ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვერ ვხედავ.**

**რაც შეეხება სიას, არ ველი, რომ რაიმე დიდი ცვლილებები იქნება. თუმცა არჩევნებისთვის ამომრჩევლისთვის სიახლე რომ აუცილებელია და რაღაცა გადახალისება იქნება, ეს ლოგიკურიც არის და მოსალოდნელიც. არ ვიცი, რაზე გაკეთდება ძირითადი აქცენტები, მაგრამ ახალი სახეეები რომ იქნებიან, ალბათ, ამაში გასაკვირიც არაფერია“, – ამბობს საყვარელიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# მშვიდობისთვის ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ!

**... როცა ჩვენს კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ საქართველო გახდებოდა ევროკავშირისა და ნატოს წევრი, ხალხს იმედი მიეცა, რომ ევროკავშირი და ნატო მშვიდობას და უსაფრთხოებას დაიცავდა ჩვენში. დღეს ევროპა და აშშ ჩართული არიან ომში რუსეთთან, რომელიც შეიძლება ბირთვული იარაღით ომში გადაიზარდოს. მოვლენების ასეთი განვითარების დროს, სრულიად ბუნებრივია, ჩვენმა ხელისუფლებამ დროებით თავი შეიკავოს ევროპასთან (ევროკავშირთან) დაახლოებაზე.**

რა უნდა იყოს აქ მიუღებელი და გაუგებარი ნებისმიერი პოლიტიკოს-პოლიტიკანისთვის, ქართველი და არა მარტო ქართველი ხალხის უპირველესი ფასეულობა ხომ მშვიდობა და მისი დაცვაა.

ევროპა ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკით კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინეთის ჩართვა ნიშნავს იმას, რომ ევროპა იაფად მიიღებს ჩინურ პროდუქციას, ხოლო თავისას გაიტანს ამიერკავკასიასა და შუა აზიაში მეტად მომგებიანად.

ჩინეთმა რამდენიმე წლის წინ შემოგვთავაზა, რომ აგვიშენებდა ელექტრომობილების ქარხანას, რაც მთელი ქვეყნისთვის ერთობ მომგებიანი იყო. იმავე დღეს აშშ-ის პრეზიდენტმა გააფრთხილა ჩვენი პრემიერი, რომ მას არ გამოადგებოდა ჩინეთთან დაახლოება, ხოლო მეორე დღეს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩამოფრინდა საქართველოში და პროექტზე საუბარი შეწყდა.

დღეს ჩვენი საავტომობილო ბაზარი, მიუხედავად მანქანების შემოტანის აკრძალვისა, გადავსებულია ამერიკული, მეტად არაპოპულარული „ფორდებით“. ბევრი მათგანი ლენდ-ლიზით არის შემოტანილი. უფრო მეტად გაუგებარია, რატომ შემოიტანეს წინასწარი გაფრთხილების სატელიტური სისტემა, რასაც რაჭაში შარშან 33 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ზემოაღნიშნული ფაქტების საფუძველზე ჩვენმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს უფრო აქტიური და განმარტებითი პოლიტიკა როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში. მათ უნდა მიიღონ ჩვენი მთავარი ფასეულება—ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის დამყარების აუცილებლობა.

რომ ვიბრძოლოთ მშვიდობისთვის, საჭიროა შეწყდეს (შენელდეს) ყბადაღებული ანტირუსული კამპანია. ამისთვის უნდა ავამოქმედოთ კონსტიტუციაში ჩაწერილი მუხლი – დაუშვებელია ეთნიკურ ჯგუფებს შორის (ერებს და სახელმწიფოებს შორის) შუღლის გაღვივება, რასაც საბოლოოდ ომებამდე მივყავართ.

მშვიდობისთვის ყველამ უნდა ვიბრძოლოთ. ეს ბრძოლა უნდა დავიწყოთ ჩვენ, ასაკოვანმა ადამიანებმა, ვისაც ეს ქვეყანა გვიშენებია და ვიცით მშვიდობის ფასი. საქართველოს ყველა ქალაქში უნდა მოეწყოს მოქალაქეთა დემონსტრაციები მოთხოვნით „მშვიდობა მსოფლიოს“! დარწმუნებული ვარ, სხვა ქვეყნების რიგითებიც გაითავისებენ ამ ბრძოლას და მნიშვნელოვან შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

ამ ბრძოლით ჩვენ ავიცილებთ სამოქალაქო ომს საქართველოში.

**ნუგზარ კობახიძე**
ტ: 593 74 82 53

# სატირა(ლი) ამბები

## ბუკა პეტრიაშვილი ბუმბერაზია“



**რუბლოვნა** ელენე ხოშტარიასა და შარვალჩახდილად ცნობილ ზურა-გირჩი ჯაფარიძეს სერიოზული ძალა შეემატა ბუკა პეტრიაშვილის სახით, – ასე ეხმიანება ანალიტიკოსი გია აბაშიძე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „დროას” ალექსი პეტრიაშვილი შეუერთდა.

აბაშიძე აცხადებს, რომ მმართველ პარტიას ამის გამო მოუწევს, გადახედოს წინასაარჩევნო სტრატეგიას, ვინაიდან „ბუმბერაზი“ კონგლომერატი შეიქმნა.

**„რუბლოვნა ელენე ხოშტარიასა და შარვალჩახდილად ცნობილ ზურა-გირჩი ჯაფარიძეს სერიოზული ძალა შეემატა ბუკა პეტრიაშვილის სახით. „მოუწევს“ მმართველ პარტიას წინასაარჩევნო სტრატეგიის „გადახედვა“. დანარჩენ ოპოზიციურ პარტიუგებს კი, „მოუწევთ სერიოზული კონსულტაციები“ ამ „ანგარიშგასაწევ“ „ბუმბერაზ“ კონგლომერატთან“**, - წერს გია აბაშიძე სოციალურ ქსელში.

## ოპოზიციონერმა დეპუტატმა ქალებმა დამალეს, რომ ხალხთან შეხვედრები NDI-მ დაუფინანსათ!



**დიახ**, გამოდის, რომ უცხოელმა დონორებმა ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის გახსნამდე დაიწყეს ჩვენს არჩევნებში ჩარევა, – ასე ეხმიანება ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომლის თქმითაც, **„როდესაც უცხოური დაფინანსებით კონკრეტული პოლიტიკური ძალების წარმომადგენელი დეპუტატები დადიან, ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას, ეს არის პირდაპირი საარჩევნო აგიტაციის დაფინანსება და ეწინააღმდეგება კანონმდებლობას“.**

ექსპერტის თქმით, **„ოპოზიციონერი დეპუტატი ქალები“ NDI-ს ფულით მოწყობილ შეხვედრებს ანტისახელისუფლებო აგიტაციისთვის გამოიყენებენ.**

**„ისტორიაში ყველაზე ამორალური ის არის, რომ ამ „ოპოზიციონერმა დეპუტატმა ქალებმა“ საზოგადოება მოატყუეს – თითქოს ეს მათი პირადი ინიციატივა იყო რეგიონებში ხალხთან შეხვედრა. რატომ დამალეს, რომ ეს ყველაფერი NDI-მ დაუფინანსათ? ან თავად NDI-მ რატომ არ განაცხადა, რომ მისი ფულით ხდება ეს ვოიაჟი.**

**ამ პარლამენტში შემთხვევით მოხვედრილ ქალ დეპუტატებს რომ ხალხი არ ანაღვლებთ და მხოლოდ საკუთარი პიარისთვის სჭირდებათ რეგიონში ჩასვლები, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ როდესაც ამას გარედან მიღებული ფულით აკეთებ, ამას უკვე სხვა ელფერი დაჰკრავს. გასაგებია, რომ NDI-ს ფულით მოწყობილ ამ შეხვედრებს ისინი ანტისახელისუფლებო აგიტაციას მოანდომებენ.**

**გამოდის, რომ უცხოელმა დონორებმა ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის გახსნამდე დაიწყეს ჩვენს არჩევნებში ჩარევა“**, – წერს ანჯაფარიძე სოციალურ ქსელში.

# ჟურნალისტის თვალსაწიერი

## ნუგზარ ბ. რუხაძე: ევროპის ორი ლიდერი ქვეყნის ამომრჩეველმა საკუთარ მთავრობებს წითელ-ყვითელი ბარათები აჩვენა!

**რამდენიმე დღის წინათ, 360-მილიონიანი ევროპა არკვევდა, ვინ იქნებოდა ის 720 ევროპარლამენტარი, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკას მომდევნო 5 წლის განმავლობაში განსაზღვრავს. არჩევნები მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვდა. არჩევნების შედეგის მიხედვით, პოლიტიკური ევროპა მარჯვნივ გადაიხარა. ულტრა-მემარჯვენეთა და მემარჯვენე-ცენტრისტების რეიტინგი გაიზარდა, თუმცა, ულტრა-მემარჯვენეებმა მაინცდამაინც დიდი გარღვევა ვერ მოახერხეს. მხოლოდ 13 დეპუტატი დაემატებათ მომავალ პარლამენტში, ანუ სულ 131 წარმომადგენელი ეყოლებათ. ძალა ნამდვილად ანგარიშგასაწევია, მაგრამ არა გადამწყვეტი.**

ამ არჩევნებში გამარჯვება მემარჯვენე-ცენტრისტებს ერგოთ. მათ ფრაქციას, სახელწოდებით, „ევროპის სახალხო პარტია“, 185 ადგილი ექნება ახალ ევროპარლამენტში, ანუ 9-მანდატით მეტი. მეორე დიდი ძალა, მემარცხენეთა ცენტრისტული ფრაქცია, 135 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი. არჩევნებში, ყველაზე დიდი მარცხი მწვანეებმა და ლიბერალებმა განიცადეს. მათ 41 მანდატი დაკარგეს: მწვანეებმა 18, ლიბერალებმა 23. ამით ამომრჩეველმა უარი უთხრა



მათ „მწვანე“ და ლიბერალურ პოლიტიკას. ევროპარლამენტის 2019 წლის არჩევნებში ყველაზე წარმატებულები სწორედ ისინი იყვნენ. მათი ინიციატივით დაიწერა ევროპის მწვანე ენერგიის პოლიტიკა. ახლა კი, უკრაინის ომით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპელი ამომრჩეველი აიძულა, მწვანე ტალღისთვის ზურგი ექცია.

ერთი სიტყვით, ულტრა-მემარჯვენეთა რეიტინგი იზრდება, თუმცა, ევროპის მოსახლეობა ძალაუფლების სადავეებს მაინც ცენტრისტებს ანდობს. არის საკითხები, რომელშიც ამომრჩეველი ბრიუსელს არ ეთანხმება, თუმცა, იზიარებს მის საგარეო და ეკონომიკურ პოლიტიკას. ამომრჩეველს არ მოსწონს ბრიუსელის მიგრანტთა და ლგბტ-პოლიტიკა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ულტრა-მემარჯვენეთა აღზევებას. გამოდის, ულტრა-მემარჯვენეები რომც მოვიდნენ სათავეში, ევროპის საგარეო პოლიტიკა დიდად არ შეიცვლება.



ერთმა ცნობილმა პოლიტოლოგმა შენიშნა, ულტრა-მემარჯვენეები მხოლოდ არჩევნებამდე არიან პრო-პუტინისტები, არჩევნების შემდეგ კი, ისევ ატლანტისტები ხდებიანო.

**არჩევნების მთავარი სენსაცია ის იყო, რომ ევროპის ორი ლიდერი ქვეყნის ამომრჩეველმა თავიანთ მთავრობებს წითელ-ყვითელი ბარათები აჩვენა. საფრანგეთსა და გერმანიაში, მმართველმა პარტიებმა კატასტროფული მარცხი განიცადეს. გერმანიაში, პირველ ადგილზე ქრისტიან-დემოკრატები და, მეორეზე, ულტრა-მემარჯვენეები გავიდნენ ანუ, ფაქტობრივად, ამომრჩეველმა შოლცის კოალიცია გადაირჩია. ულტრა-მემარჯვენეებმა, გერმანიის ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ყველგან პირველი ადგილი დაიკავეს. გერმანიის გაერთიანებიდან 30-წელზე მეტი გავიდა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ გერმანულ მენტალიტეტში ჯერ-კიდევ არსებობს ორი გერმანია. საფრანგეთშიც უმძიმესი მარცხი განიცადა მაკრონის პარტიულმა კოალიციამ. პირველ ადგილზე მარი-ლე-პენის კოალიცია გავიდა, რომელმაც მაკრონის კოალიციაზე ორჯერ მეტი ხმა მიიღო. ამ ფაქტით თავზარდაცემული მაკრონი ვა-ბანკზე წავიდა: პარლამენტი დაითხოვა და რიგგარეშე არჩევნები დანიშნა. მაკრონის საქციელმა ევროპა საგონებელში ჩააგდო. ზოგი იზიარებს მაკრონის ნაბიჯს, ზოგი აკრიტიკებს. ფრანგულ პრესაში ვკითხულობთ, რომ მაკრონი ეგრეთწოდებულ კოჭლ იხვს დაემსგავსებოდა, რომ არა მისი ეს ნაბიჯი. ახლა, რაღაც იმედი მაინც გვუტავს, რომ ლე-პენის კოალიცია საპარლამენტო უმრავლესობას ვერ მოიპოვებს.**

ყურადღებას სხვა ქვეყნებში ჩატარებული არჩევნებიც იპყრობს. მაგალითად, ავსტრიაში პირველ ადგილზე ულტრა-მემარჯვენეები გავიდნენ. ბელგიაშიც იგივე მოხდა, სადაც ევროპარლამენტის დეპუტატებსაც ირჩევდნენ და ეროვნული პარლამენტის წევრებსაც. ბელგიის მმართველმა პარტიამ ორივეში წააგო. უნგრეთში პირველ ადგილზე ორბანის პარტია კი გავიდა, მაგრამ ბოლო 20 წლის მანძილზე ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა. საერთო ჯამში, ევროპარლამენტის არჩევნებზე მოულოდნელი რამ არ მომხდარა. ცენტრისტები ისევ მმართველობაში იქნებიან და ურსულა ფონ-დერ-ლაიენსაც ისევ მთავარ ევროკომისრად ვიხილავთ!..

## ისტორიაში პირველად ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ქართველი ადვოკატი გახდა

**დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ეს არის პირველი შემთხვევა ევროპის ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებების ისტორიაში, როდესაც ორგანიზაციის თავმჯდომარე ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის ადვოკატურის წარმომადგენელი გახდა.**

დავით ასათიანი ამჟამად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის პოზიციას მეორე ვადით იკავებს.

რაც შეეხება ევროპის ადვოკატთა ასოციაციას, ის 1986 წელს ევროპელმა ადვოკატებმა ბრიუსელში დააფუძნეს. ორგანიზაცია ევროპის მასშტაბით ადვოკატთა ასოციაციებს, იურიდიულ ფირმებსა და ინდივიდუალურ ადვოკატებს აერთიანებს. ასოციაციის საქმიანობა მიმართულია ევროპის ქვეყნებში ადვოკატის პროფესიის მხარდაჭერის, ადვოკატთა ასოციაციების გაძლიერებისა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრებისკენ.





## ევროკავშირის ლიდერები ახალ კანდიდატურებზე ვერ შეთანხმდნენ!

**ბრიუსელში ევროკავშირის სამიტის მონაწილეებმა გაერთიანების ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნაზე საბოლოო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამის შესახებ სამიტის დასრულების შემდეგ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა განაცხადა.**

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, კონსერვატორები და სოციალ-დემოკრატები ვერ შეთანხმდნენ, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ხუთ წელიწადში ერთხელ აირჩიონ თუ ყოველ ნახევარ წელიწადში. ვრცელდება ცნობები, რომ დიდი ალბათობით თანამდებობას მეორე ვადით შეინარჩუნებს ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, რომლის „ევროპის სახალხო პარტიამ“ ევროპარლამენტის არჩევნებში ყველაზე მეტი მანდატი მოიპოვა.

საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტზე ფავორიტი კანდიდატია ესტონეთის პრემიერ-მინისტრი კაია კალასი, ხოლო პორტუგალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ანტონიო კოსტას კანდიდატურა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტზე განიხილება. ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის კანდიდატთა საკითხი განხილვა მომავალი კვირის ბოლოსთვის გადაიდო.

# თბილისის მერია ახალგაზრდულ საზაფხულო პროგრამებზე რეგისტრაციას იწყებს



**თბილისის მერიის ახალგაზრდულ საზაფხულო პროგრამებზე რეგისტრაცია იწყება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.**

როგორც მან აღნიშნა, პროგრამებზე რეგისტრაცია ეტაპობრივად ვებგვერდზე: www.youthtbilisi.ge განხორციელდება.

„თბილისის მერია, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, ყოველწლიურად ახორციელებს მასშტაბურ საზაფხულო ღონისძიებებს ახალგაზრდებისთვის. წელსაც ტრადიციულად განხორციელდება ახალგაზრდული საზაფხულო პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს თბილისში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა კულტურული, სპორტული და გასართობი აქტივობების შეთავაზებას. პროგრამებზე რეგისტრაცია განხორციელდება ეტაპობრივად ვებგვერდზე – www. youthtbilisi.ge. პროგრამის ფარგლებში, გაიმართება შეჯიბრებები ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ტირში, ბილიარდში, კარტინგში, აგრეთვე ლაშქრობები თბილისის გარშემო“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისი თქმით, 2023 წელს საზაფხულო-ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 4 000-მა ახალგაზრდამ, მიმდინარე წელს კი, სავარაუდოდ, 5 000-მდე მონაწილე იქნება.

„მნიშვნელოვანია, რომ წელს დაგვემატა ახალი მიმართულებებიც. მათ შორის, პროგრამირების ბანაკი, სადაც ახალგაზრდები ისწავლიან ვებგვერდების შექმნას და მართვას, ინგლისური ენის ბანაკი, კიბერსპორტის ბანაკი, ბანაკი ხელოვნური ინტელექტის თემატიკაზე, ბანაკი სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდა ინოვატორთა ბანაკი, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინოვაციური სამეწარმეო იდეების განვითარებას; ახალგაზრდა მოხალისეთა ბანაკი, თეატრალური და კინოხელოვნების ბანაკები, გაცვლითი ბანაკი ფრანგი და ქართველი ბავშვების ჩართულობით და ახალგაზრდა სპორტსმენების საზაფხულო პროფესიული შეკრებები.

აღნიშნული პროგრამით სარგებლობა მოქალაქეებისთვის იქნება სრულებით უფასო“.

მისივე თქმით, პროგრამის ფარგლებში მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი იქნება ტრანსპორტირება, კვება, ეკიპირება და კვალიფიციური ინსტრუქტორების მომსახურება.

# თუ გინდა გჯეროდეს, უნდა დაიჯერო!

## I კვარტალში საქართველოში საშუალო ნომინალური ხელფასი 13.2%-ით გაიზარდა



**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოში საშუალო ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.2 პროცენტით, ანუ 226.8 ლარით გაიზარდა და 1 943.4 ლარი შეადგინა.**

საქსტატის ცნობით, საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი გამოვლინდა შემდეგ დარგებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 4 519.4 ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.2 პროცენტით მეტია.

ინფორმაცია და კომუნიკაცია – 3 956.5 ლარი – ზრდამ 9.0 პროცენტი შეადგინა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 2 672.7 ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.0 პროცენტით მეტია.

მშენებლობა – 2 624.6 ლარი – ზრდამ 22.3 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, უწყების ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის პირველ კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1 540.0 ლარით, ხოლო კაცების – 2 343.2 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 164.3 ლარი (11.9%) შეადგინა, ხოლო კაცებში – 289.8 ლარი (14.1%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბიზნეს სექტორში 226.3 ლარით (12.9%) გაიზარდა და 1 985.4 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი ინფორმაცია და კომუნიკაციის (4 069.0 ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8.8 პროცენტით) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (3 035.1 ლარი, გაიზარდა 10.9 პროცენტით) სფეროებში ვლინდება.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 226.8 ლარით (13.8%) გაიზარდა და 1 870.0 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი საშუალო ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში დასაქმებულებს. საშუალო ხელფასის სიდიდის მიხედვით რეგიონებში ლიდერობს თბილისი და მცხეთა-მთიანეთი.

# საქართველოს ეროვნული კინოცენტრი შანხაის კინოფესტივალზე

**14-23 ივნისს აზიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – შანხაის 26-ე საერთაშორისო კინოფესტივალი (SIFF) – იმართება, რომლის ფარგლებშიც 16-18 ივნისს ჩატარდა კინობაზრობა. ბაზრობაზე ეროვნული კინოცენტრი, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, პირველად წარდგა საქართველოს სტენდით, რომელიც წარმოაჩენს ქართული კინოს უმდიდრეს მემკვიდრეობას, თანამედროვე ქართულ ფილმებს და პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს, როგორც კინოგადაღებებისთვის უმნიშვნელოვანეს ქვეყანას.**



ქართული კინოს სათანადოდ წარდგენისა და პოპულარიზაციისთვის საქართველოს დელეგაციაში იმყოფებიან რეჟისორები და პროდიუსერები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კინობაზრობის ფარგლებში დაგეგმილ არაერთ შეხვედრაში, გაეცნობიან სხვადასხვა საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენლებს და დასახავენ გეგმებს, როგორც ერთობლივი პროდუქციის შესაქმნელად, ასევე, ქვეყნის კინოწარმოების განვითარების კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ამ მიმართულებით მიმზიდველი ხდება ევროპისა და აზიის ქვეყნებისათვის, როგორც საინტერესო სივრცე ახალი კინოპროექტების წარმოებისა და დარგის განვითარებისათვის.

შანხაის საერთაშორისო კინოფესტივალი (SIFF) არის უდიდესი კინოფესტივალი აზიაში. იგი ჩინეთის ყველაზე ხანგრძლივი საერთაშორისო კინოფესტივალია, რომელიც დაარსდა 1993 წლის ოქტომბერში და არის ერთადერთი ჩინური ფესტივალი, რომელიც აკრედიტებულია კინოპროდიუსერების ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIAPF) მიერ. FIAPF-ი პასუხისმგებელია საერთაშორისო კინოფესტივალების, მათ შორის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალების წარმართვაზე.

აზიურ კინობაზრობაზე საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელსაც კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე კობა ხუბუნაია ხელმძღვანელობს, არაერთ მნიშვნელოვან შეხვედრას გამართავს პროდიუსერებთან, კომპანიების, კინოთეატრების, ონლაინ-პორტალებისა თუ საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან.

# სატირა(ლი) ამბები

## ჯერ ერთად იყვნენ, ახლა საერთო ენას ვერ პოულობენ!..

**... არა მაქვს რაიმე ემოციური დატვირთვა იმ ბრალდებების გამო, რომლებსაც ბოლო ხანებში მიყენებდნენ. ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: ყველა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამჟამად საქართველოს პოლიტიკურ ველზე არსებობს, ჩვენთვის ყველაზე ახლოა „ ღელო“, მაგრამ მათ გარეშე მარტო მე გადაწყვეტილებას ხომ ვერ მივიღებ?! ჩვენ გუნდსაც ბევრჯერ განუცხადებია და ახლაც გავიმეორებ: მათთან გაერთიანების წინააღმდეგი ჩვენ არ ვიქნებით. მაგრამ, სანამ გაერთიანებამდე მივალთ, მანამდე რაღაც ერთობლივი ნაბიჯები ხომ უნდა გადაიდგას? ჩვენ ნებისმიერ მომენტში მზად ვართ ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობისთვის, მაშინ, როდესაც გვესმის, რომ ეს არის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები.**

ჩვენ იმაზე ხომ ვთანხმდებით, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში ქვეყანაში პოლიტიკური გარემო სისტემურად შეიცვალა. ამას, რა თქმა უნდა, ზემოქმედება ექნება ყველაფერზე. მაგრამ ეს ვერანაირად ვერ იმოქმედებს ჩვენს ფასეულობებზე–ერთადერთი, რის წინააღმდეგ ჩვენ ვერ წავალთ, ესაა ფასეულობები და სამშობლო. მეცინება, როცა ჩემზე იძახიან, „პარტიას უღალატაო“! სასაცილოა, რომ ეს თქვა პარტიამ, რომელმაც ბოლო თვეებში ქვეყანას უღალატა!



**გიორგი გახარია**

## ქართველი ხალხი პარტნიორების ყურადღების ქვეშ არის...

**პირველწყაროზე დაყრდნობით შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც ამას ჩვენ ავსახავთ: „ქართულ ოცნებას“ აღარავინ ესაუბრება, იმიტომ რომ, ეს არის, მკვეთრად გამოკვეთილი პრორუსული, ანტიქართული, ანტიდასავლური პოლიტიკური ძალა, შესაბამისად, მასთან საუბარს არავინ აპირებს, მეორე მხრივ, საქართველო, ქართველი მოსახლეობის აქტივობის გამო ჩვენ ვართ ტოპ-ყურადღების ქვეშ და ეს არის ხალხის დამსახურება, რომელმაც ორთვიანი განგრძობადი, ასობით ათასი ადამიანის პროტესტი გამოხატა (ე.წ. „ რუსული“ კანონის წინააღმდეგ-რედ.), რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა მათ.**

ამას ვამბობ იქიდან გამომდინარე , რომ ჩვენ ვხედავთ, სალომე ზურაბიშვილს ყველა მსოფლიო ლიდერი ესაუბრა, მეორე კი ის, რომ ჩემი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში ძალიან მნიშვნელოვანი იყო თუნდაც იმით, რომ თქვენ ვერ დამისახელებთ პრეცედენტს, როცა საგარეო საქმეთა მინისტრის დონეზე ყოფილიყო შეხვედრები...

ძალიან კარგად ხედავენ ჩვენი პარტნიორები, თუ ვინ არის საყრდენი საქართველოში განვითარებული მოვლენების კუთხით–ესაა ქართველი ხალხი, ესაა დემოკრატიული პროდასავლური ოპოზიცია და ესაა ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.



**გიორგი ვაშაძე**

## რას ესიზმრებათ, ის ელანდებათ

**ამჟამად ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ სხვადასხვა პარტიებთან იმისთვის, რომ გამოვნახოთ საერთო გზა და ვიპოვოთ საერთო ენა, საერთო ენა კი არ გულისხმობს, რომ ყველანი საერთო სიაში უნდა ვიყოთ–არა, ჩვენ ვსაუბრობთ იმ სწორ კონფიგურაციებზე, რომლებიც ყველაზე უფრო ეფექტურს გახდის იმის შესაძლებლობას, რომ ივანიშვილის რუსული ხელისუფლება დასრულდეს. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციამ დაამარცხოს „ქართული ოცნება“.**

როგორი უნდა იყოს ის კონფიგურაციები, ვინ ვისთან უნდა იყოს (გაერთიანებული-რედ.), საერთოდ, არ წარმოადგენს არც ერთი შეკითხვის თემას, ეს არავის აღელვებს. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ გამარჯვება.



**გრიგოლ გეგელია**

# ორგანიზებული დანაშაული

## პროკურატურამ ნარკო-რეალიზატორების მთელი ჯგუფი გამოიჭირა



**საქართველოს პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 10 პირი დააკავა.**

**უწყების ცნობით, საქართველოს პროკურატურის მიერ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2022 წელს, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქემ, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის და მისგან მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა.**

–ბრალდებულებისგან შემდგარმა ორგანიზებულმა ჯგუფმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო და დაუსაბუთებელი წარმოშობის ქონების გათეთრება. ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები, რომელიც ემსახურებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების შენიღბვას და ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის ეკონომიკურ ბრუნვაში ლეგალური სახით აკუმულირებას.

რაც შეეხება ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელს, ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებით თბილისში, სხვა პირების სახელზე, სარესტორნო და ღამის კლუბის ბიზნესს სამ სხვადასხვა მისამართზე ახორციელებდა.

საკლუბო ბიზნესის მიზანს ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია და მისგან მიღებული უკანონო წარმომავლობის დაფარვა და გათეთრება წარმოადგენდა. ორგანიზებული ჯგუფის წევრები ხელოვნურად ზრდიდნენ აღნიშნული კლუბების მიერ მიღებულ შემოსავლებს, კერძოდ, 2023 წლის ოქტომბრის თვეში, ბრალდებულებმა თითქოსდა მხოლოდ 5 დღის განმავლობაში 3 000 000 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს, რა გზითაც, ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის წარმომავლობა შეინიღბა. თანხის ნაწილი სხვადასხვა პერიოდში დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა. ეს უკანასკნელი კი, თანხების საზღვარგარეთ გადარიცხვას და კრიპტოვალუტის გადაცვლის ოპერაციებს ახორციელებდა.

ასევე, ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრები ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით, სისტემატიურად ახდენდნენ სხვადასხვა სახის კრიპტოვალუტის შეძენას, რომლის შემდგომი რეალიზაციით მიღებული თანხის განაღდებას ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი ახდენდა.

ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად, თითქოსდა ლეგალური გზით მიღებული თანხებით, დანაშაულებ-



რივი ჯგუფის წევრების სახელით ძვირადღირებული უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინა. კერძოდ, ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელმა მის მიერ დაფუძნებული კომპანიის და ბრალდებულების სახელით თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე შეიძინა დაახლოებით 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის საცხოვრებელი ბინები, კომერციული ფართები და მიწის ნაკვეთი. ამავე პერიოდში ორგანიზებული ჯგუფის წევრების სახელზე შეძენილია დაახლოებით 800.000 ლარის ღირებულების ძვირადღირებული ავტომობილები.

ზემოხსენებული ქონებების ღირებულება ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით სრულად იქნა გადახდილი. აღნიშნული ქმედებებით ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა ფულადი თანხის სახით განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი და სამ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება მიიღეს.

გამოძიების მიმდინარეობისას, ყადაღა დაედო ბრალდებულების საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებებს, რითაც არ მიეცათ მათი შემდგომი განკარგვისა და გადამალვის შესაძლებლობა. პროკურატურა, დანაშაულებრივი წარმომავლობის ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

**გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ 2024 წლის 10 ივნისს, ორგანიზებული ჯგუფის წევრებთან დანაშაულებრივად დაკავშირებულმა პირმა, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან მარნეულის რაიონის სოფელ ქერაჩმუღანლოში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტით, საქართველოში საზამთრო შემოიტანა, რომლის ყუთებში მოწყობილ სამალავებში მოთავსებული იყო უკანონოდ შეძენილი და შენახული განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 25 400 გრამი ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანა, რაც საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელთა მიერ ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული. აღნიშნული ტვირთი ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სახელზე იგზავნებოდა, რომელიც ტვირთის გატარების მიზნით, დოკუმენტების მოწესრიგებას ცდილობდა, რათა აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ზემოხსენებული სქემით მომხდარიყო.**

დაკავებულებს ბრალი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონო შემოტანის ფაქტებზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულებრივ სქემაში ჩართული სხვა პირების დადგენის მიზნით".




# 9-დან 12-წლამდე — ციხეში!

**პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა და კიბერ-თაღლითობისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრების ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა უცხო ქვეყნის 2 მოქალაქის და 2 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო**

**საქართველოს პროკურატურამ მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა.**

გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა საზღვარგარეთ მცხოვრები პირების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნეს.

წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ბრალდებულები და მათთან კავშირში მყოფი პირები, გამოგონილი სახელებით უკავშირდებოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ეცნობოდნენ არარსებული საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენლებად, შედიოდნენ მათთან ნდობაში და თითქოსდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ საფონდო ბირჟაზე არსებული კომპანიების აქციების შესაძენად საჭირო თანხებს საქართველოში მათივე კონტროლის ქვეშ არსებულ ფიქტიურად დაფუძნებული კომპანიების საბანკო ანგარიშებზე არიცხვინებდნენ.

აღნიშნული გზით, ბრალდებულები ფიზიკური პირების კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს, დაახლოებით 150 000 აშშ დოლარს თაღლითურად დაეუფლნენ.

შემდგომში ბრალდებულებმა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხებისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ყალბი ინვოისების საფუძველზე, თანხები საზღვარგარეთ მათივე კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო ანგარიშებზე გადარიცხეს, რითაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

**ბრალდებული ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს.**

# აყვანილია თაღლითი

**საგამოძიებო სამსახურმა სხვისი კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მიერ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი კუთვნილი თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებული დაუკავშირდა ერთ-ერთ პირს, დაარწმუნა იგი, რომ თითქოს მუშაობდა ვადამდე ადრე გათავისუფლების ე.წ. „უდო"-ს კომისიაში და შეეძლო კონკრეტული მსჯავრდებულის ვადამდე ადრე გათავისუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ბრალდებულმა მოქალაქეს გამოართვა 2 700 აშშ დოლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 – დან 7 წლამდე ვადით.

# მკვლელობისთვის ძებნილ ქართველს პოლიციამ ოთხი წლის შემდეგ მიაგნო

**მკვლელობისთვის ძებნილ ქართველს პანამის დროშის ქვეშ მცურავ გემზე პოლიციამ ოთხი წლის შემდეგ მიაგნო.**

**მკვლელობაში** ბრალდებული საქართველოს მოქალაქე დააკავეს ესპანეთში. სამოქალაქო გვარდიის წევრებმა ის ვაგოის პორტში, გემზე აიყვანეს.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოქალაქეს 2020 წლიდან ინტერპოლი პოლონეთში მომხდარი მკვლელობისთვის ეძებდა. გამოძიების მასალებით, ბრალდებულმა ერთ-ერთ მამაკაცს ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

ოთხწლიანი ძებნის შემდეგ სავარაუდო დამნაშავე ვაგოის პორტში დააპატიმრეს, სადაც ის პანამის დროშის ქვეშ მცურავ გემზე იმყოფებოდა, როგორც ეკიპაჟის წევრი.

დაკავებულს ესპანეთი, სავარაუდოდ, პოლონეთს გადასცემს.



## ხვიჩა კვარაცხელია:

# საქართველო მოიგებს ევროპის ჩემპიონატს!

პირველი გვერდიდან

შემდეგ რუსეთში წავედი, მოსკოვში. 17 წლის ვიყავი, თითქმის 18-ის. პატარა ვიყავი და სულ მარტო. ჩემი მშობლები ნერვიულობდნენ, მამაჩემი განსაკუთრებით. გამიძნელდა, დიდი სტრესი იყო ოჯახის დატოვება.

ვარჯიში როცა დავიწყე, ჩემს თავს ვუთხარი: აქ რისთვის ჩამოვედი? ჩემი ოჯახის გვარი მაისურზე მაწერია, ესე იგი, ჩემი ოჯახი ჩემთანაა. მათთვის უნდა ვიმუშაო, მხოლოდ ჩემთვის არა. არ მაქვს უფლება, გული ავუცრუო, აუცილებლად უნდა იამაყონ ჩემით.

ასე რომ, გავმაგრდი.

რუსეთში ქართველი საბა კვირკველიაც იყო და ძალიან დამეხმარა. სხვა მოთამაშეებთან ურთიერთობაში მეხმარებოდა, თავისთან ერთად მატარებდა ხანდახან და მიცავდა. თამაში როდესაც დავიწყე, მწვრთნელს ძალიან მოვეწონე. დიდ პატივს ვცემ, იმიტომ რომ სერიოზული ზრდა მქონდა იმ პერიოდში - ფიზიკური, გონებრივი და პირადი.

ოღონდ მარტოსული ვიყავი. საწვრთნელ ბაზაზე ვცხოვრობდი, მეგობრები არ მყავდა. მგონი მხოლოდ მე და დაცვის ბიჭები ვიყავით. დანარჩენი მოთამაშეები სხვაგან ცხოვრობდნენ, მე სულ მარტო ვიყავი, მარტო დავდიოდი. ცოტა დამთრგუნველი ადგილი იყო. მართლა, არ ვხუმრობ! სადღაც უღრან ტყეში, გარეთ გასეირნებაც არ გამოდიოდა, იმიტომ რომ ქუჩის ძაღლები და არა მარტო ძაღლები იყო გარშემო. სულ ბაზაზე ვიყავი, არსად არ გავდიოდი, მოსკოვის ცენტრშიც კი არ წავსულვარ. არსად.

ღამე ბაზაზე შუქი არ იყო. ხანდახან ღამითაც ვვარჯიშობდი, დამატებით მინდოდა მუშაობა, თან უშუქოდ. ასეთ მომენტებში შეშინებული დაცვა მომვარდებოდა ხოლმე, სიბნელეში ვერ მცნობდნენ.

„ეი, ვინ დარბის მანდ???“

მე.

დრიბლინგი სიბნელეში.

დაცვის ბიჭი, კარგი ადამიანი იყო. სულ მეუბნებოდა „მორჩი რა, დაამთავრე.“

მაგრამ სხვა საქმე არ მქონდა, ვერაფერს ვერ ვაკეთებდი, მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობდი. ასე ღამღამობით ვმუშაობდი, ყოველღამე.

სულ იმას ვფიქრობდი, რომ არ შემიძლია ცუდად თამაშის გამო დავბრუნდე საქართველოში. კარგად უნდა ვითამაშო. ბევრი უნდა ვიმუშავო. ჩემი ოჯახი და ქვეყანა მიყურებს.

საქართველოს, ქართველ ხალხს მუდამ გულით ვატარებ. სამშობლოს სიყვარული ასეთია. ყველაფერს ჩემი ქვეყნისთვის ვაკეთებ, ჩემი გულშემატკივარი ბავშვებისთვის (თუნდაც არ იყვნენ გულშემატკივრები, მაინც ქართველები არიან და მათთვის ვაკეთებ ყველაფერს).

სულ მინდა, რომ ვაამაყო.

2022 წელს უკრაინაში ომი იწყება. ომი დიდი სირცხვილია. ვფიქრობ, კაცთმკვლელობა საერთოდ არ უნდა არსებობდეს. მგონი მარტივია–მშვიდობა უნდა სუფევდეს. ასე რომ, როდესაც ომი დაიწყო ვიფიქრე „მე აქ ვერ გავჩერდები“, ჩემი ქვეყნის, ჩვენი ისტორიის გამო კლუბს გამოვუცხადე, რომ უნდა წავიდე.

გადავედი ბათუმის დინამოში, მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაში. იცი, რომელ ქვეყანას ვგულისხმობ!!

სახლში დაბრუნება მაგარი იყო. დავფრინავდი სიხარულისგან. სტადიონები სავსე იყო ხოლმე მაყურებლით. თითქოს ჩემს უბანში დავბრუნდი და ისევ ცემენტზე ვთამაშობ.

ოღონდ დასისხლიანებული მუხლები აღარ მქონდა.

ნაპოლიში გადასვლა ბადრის დამსახურებაა. ბადრი მამაჩემია.

მარადონა მისი კერპი იყო.

მამაჩემი ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო. აზერბაიჯანში თამაშობდა. ბავშვობაში სულ მის ვიდეოს ვუყურებდი და ჩემთვის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი იყო მამა.

ვინმე მესიზე ან რონალდოზე თუ ლაპარაკობდა, მე ვპასუხობდი ხოლმე, „არა, არა,

## კვარაცხელიას წერილი The Players’ Tribune-ში.

არა მამაჩემი უკეთესია.“

შვიდი ან რვა წლის ბავშვები ვიყავით და ვკამათობდით, საუკეთესო ფეხბურთელებზე. დანარჩენები ამბობდნენ „რონალდინიო არის ყველაზე მაგარი.“

მე კი სულ ვამბობდი, „არა, არა, არა, თქვენ მამაჩემი არ გინახავთ.“

ჰაჰაჰაჰა.

„მამაჩემი უკეთესია, ვიდეოს განახებთ!“

**YouTube**-ზე თუ მოძებნი, ბევრს არაფერს ამოაგდებს, მაგრამ მე **DVD** მქონდა. დედა სულ მაყურებინებდა. მამა ძალიან მაგრა ასრულებდა თავისუფალ დარტყმებს. იმდენად შთამბეჭდავი იყო, ჩემს მეგობრებს სულ ვეპატიჟებოდი ჩემთან, რომ ენახათ.

რა თქმა უნდა, როდესაც წამოვიზარდე, მეც მივხვდი, რომ რონალდინიო... ხო, შეიძლება უკეთესიც იყოს.

ოღონდ სულ ცოტათი.

ბავშვობიდან მესმოდა, როგორ აღმერთებდა მამაჩემი მარადონას.

ასე რომ, როდესაც ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ ნაპოლი მეპატიჟება, უბედნიერესი ვიყავი, მაგრამ მამა? ვერ იჯერებდა.

მამა მეუბნებოდა, „ნაპოლისთვის უარის თქმა არ შეგიძლია! მარადონას კლუბს უარს ვერ ეტყვი!“

მოკლედ, ბევრი არ გვიფიქრია. არანაირი დებატი არ ყოფილა ამ თემაზე.

„უნდა წახვიდე.“

ემოციებს ვერ აღვწერ. მე ვამბობდი, „წავედით. ჩქარა. დროზე უნდა ჩავიდე.“

ნეაპოლში როდესაც ჩავედი, პირველი რაც მითხრეს ჩემმა თანაგუნდელებმა იყო: „იმღერე.“

ვახშამზე ტრადიციაა სიმღერა. ყველა ახალი მოთამაშე მღერის. მეც ვიფიქრე, რა პრობლემაა?

კიმ მინ ჯემ დაიწყო და... რა ჰქვია იმ სიმღერას?

„**Gangnam Style**.“



მაგარი იყო. მართლა ძალიან მაგარი, ამიტომ ზეწოლა ვიგრძენი.

ჰოდა, ავირჩიე სიმღერა.

ადრე, როდესაც რუსეთში ვთამაშობდი ყაზანის რუბინში, ერთმა ახალმა მოთამაშემ იმღერა რაღაც სიმღერა ვახშამზე. კარგი იყო, მართალია სიმღერა არ ვიცოდი, მაგრამ მაშინ ვიფიქრე, „შემდეგში სადაც წავალ, ეს სიმღერა უნდა ვიმღერო“.

სიმღერა ასეთია „ლალა, ლა, ლა, ლა...“

ეს ვიმღერე ნაპოლისთან პირველ დღეს. ჩემმა თანაგუნდელებმა, როდესაც გაიგონეს, მითხრეს: „შენ გონიერი ბიჭი ყოფილხარ. კარგი შთაბეჭდილების მოხდენა გინდა ნაპოლის ქომაგებზე, ხო?“

მე აზრზე არ ვიყავი.

ვახშმის შემდეგ, მარიო რუი მეუბნება „ეს სიმღერა არის **Live is Life**. მარადონას სიმღერაა, მან გახადა პოპულარული მოთელვითი ვარჯიშების დროს, მატაობისას.“

გეფიცები, არ ვიცოდი, მაგრამ გულშემატკივრებს მართლა გაუხარდათ ამ სიმღერის გაგონება. იღბალია, მეტი არაფერი.

მახსოვს, ნეაპოლში პირველი დღეები ყველგან მარადონას ვხედავდი. მარადონა, მარადონა, მარადონა. იქ მარადონა ღვთაებაა. მამაჩემს მოვუყევი და მეუბნება „დროზე ჩამომიყვანე მანდ!“

თავიდან ვარჯიშებზე ტაქსით დავდიოდი, იმიტომ, რომ ჩემი მანქანა არ მყავდა. მერე, როდესაც ვნახე, როგორ დაჰყავთ მანქანები, ვიფიქრე „შანსი არაა, მე აქ მანქანას ვერ ვატარებ.“

სასტუმროში მივედი თუ არა, ხედები მეცა თვალში ღმერთო, ცხოვრებაში ასეთი სილამაზე არ მინახავს, მართლა.

მახსოვს, ქალაქში სასეირნოდ დავდიოდი და 70 წლის მოხუცებიც კი უკვე მიცნობდნენ. ჯერ თამაშიც არ მქონდა დაწყებული და ხალხი უკვე მაჩერებდა და მეუბნებოდა „შენ ხარ კვარაცხელია!“

„დიახ, გახლავართ!“

მე ახალგაზრდა ბიჭი ვარ, ბათუმის „დინამოში“ ვთამაშობდი, ძნელად წარმოსათქმელი სახელი მაქვს, მაგრამ ბებიები, ბაბუები - ყველა მიცნობს.

მეგობრებს ხშირად ვეუბნები: ქართველები და ნეაპოლიტანელები თითქმის ერთნაირები ვართ. ფეხბურთზე ერთნაირად ვგიჟდებით. ცხოვრებას საერთოდ რაღაცნაირად გიჟურად ვცხოვრობთ. არ ვიცი, ზუსტად როგორ გამოვთქვა, ალბათ ცეცხლი, ენერგიაა ამის საწყისი. საქართველოშიც ასე ვიცით.

ჩემს ქართველ მეგობრებს სულ ვეუბნები „ნეაპოლიტანური პიცა და პასტა უნდა გასინჯოთ.“

სხვას რას ვეუბნები?

„ერთი მატჩი უნდა ნახოთ **Stadio Maradona**-ზე“

არასოდეს დამავიწყდება, როგორ მოვხვდი პირველად მარადონას სტადიონზე. შიგნით ულამაზესი იყო, გასახდელებიც კი. თამაშის დაწყებამდე, მე არ მაქვს მოედანზე გასვლის ჩვევა. ზოგი მოთამაშე გადის, ბალახს სცდიან, მუსიკას უსმენენ ხალხთან ერთად. მე არასოდეს გავსულვარ, მაგრამ მარადონას სტადიონზე პირველად ვიფიქრე: იქნებ გავალ მაინც, უნდა ვნახო.

გავდივარ და თვალწარმტაციაა! თან გახურებისას უკვე სავსეა სტადიონი. შეუძლებელია ემოციების აღწერა. ისმის ის სიმღერა „ლა, ლა, ლა“ მოთელვის დაწყებისას, შემდეგ სხვა მარადონას სიმღერა იწყება „ოლე, ოლე, ოლე,“ და მერე გულშემატკივრები მღერიან „დიეგო, დიეგო.“

ასე რომ, ახლა, როდესაც გახურებას ვიწყებ, მეც ყოველთვის ვმღერივარ „დიეგო, დიეგო“-ს.

მამაჩემს უყვარს ძალიან.

გულშემატკივრები კიდე სულ სხვა ამბავია. შარშან, სკუდეტო რომ მოვიგეთ, იუვენტუსის შემდეგ, ვბრუნდებით ნეაპოლის აეროპორტში და ავტობუსში ჩასხდომას ვცდილობთ, მაგრამ გულშემატკივრებმა ისეთი ფერადი ბოლი დააყენეს, რომ ვეღარაფერს ვხედავდით. ავტობუსში სუნთქვაც გვიჭირდა, მძღოლს კონდიციონერი ჩავართმევინეთ, ოდნავ შვება რომ გვქონოდა, მაგრამ ამანაც ვერ გვიშველა. ფაქტიურად ვერ ვსუნთქავდით და გარშემო მხოლოდ ლურჯ-თეთრი ბოლი იდგა.

სამაგიეროდ ხალხი იყო უბედნიერესი. მთელი ქალაქი მეშვიდე ცაზე იყო. ყველა, სულ ყველა...

და მეც.

ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ მარადონას კლუბში თამაშით.

ცოტა ძნელი ბავშვობა მქონდა საქართველოში. აქ დეტალებს მოვერიდები, მაგრამ სულ არ იყო ადვილი, ხომ გესმის? ახლა ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ ნაპოლიში თამაშით ჩემს ქვეყანას ვახარებ. ყველა გვიყურებს, ყველა გვადევნებს თვალყურს.

საქართველოში რომ ვბრუნდებოდი და ვხედავდი, ბავშვებს მაისურებზე ჩემი გვარი აწერიათ – ვერ ვიჯერებდი. მეგონა, ეს კვარაცხელია ალბათ ვინმე სხვაა.

ასეთ რამეზე არც მიოცნებია, იმდენად მიუღწევლად მეჩვენებოდა. დღეს კი, როცა ვხედავ, შთაგონებას მაძლევენ.

ახლა კი ევროპის ჩემპიონატი... შეგვიძლია საქართველო გავაბედნიეროთ.

ქართველებისთვის ეს ყველაფერი სიზმარივითაა.

მართალია, რომ საქართველო საუკეთესოა. ყველაფერში. ოღონდ მგონი გულის სიღრმეში არავის სჯეროდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავიდოდით. არავინ ამბობდა, მაგრამ ყველა ასე ფიქრობდა.

საბერძნეთის წინააღმდეგ ფინალური პლეიოფი ცოტა მძიმე იყო. ყოველდღე, ყოველ წამს ამ თამაშზე ვფიქრობდი.

ჩემს თავს გამუდმებით ვეუბნებოდი: უნდა მოვიგოთ. უნდა გამომივიდეს, ჩემი მეგობრების გულისთვის. ჩემი თანაგუნდელებისთვის. ჩემი ხალხისთვის.

სტრესი. ზეწოლა, რასაკვირველია.

ყველა ბოლომდე დავიხარჯეთ, 100 პროცენტით. პენალტებში განსაკუთრებით. პენალტები ჩემთვის ყოველთვის 50-50-ზეა. არავინ არ იცის, როგორ დასრულდება.

პენალტები როცა დაიწყო და მამარდაშვილმა ბურთი მოიგერია, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ. საშინლად ვნერვიულობდი, ვერ ვწყნარდებოდი, ნამეტან ზეწოლას ვგრძნობდით. ყველას გავერიდე, არ მინდოდა ვინმეს ვენახე.

მარტო.

ვკანკალებდი. რა თქმა უნდა, საუკეთესო მეკარე გვყავს, მაგრამ მაინც ვნერვიულობდი. ვფიქრობდი, ღმერთო, მიდით, ბიჭებო. ბოლო პენალტი კვეკვესკირის იყო და ვუთხარი, ნიკა, შენ უნდა დაასრულო.

გოლი რომ გაიტანა, მიწაზე დავეცი და „ვაიმე გამოგვივიდა“-მეთქი.

ყველა უბედნიერესი იყო.

ჩემმა ცოლმა თამაშის მერე მნახა და მკითხა, მთვრალი ხომ არ ხარო, გასახდელში ლუდი დალიეო? მე ვუპასუხე, რომ უბრალოდ ბედნიერი ვარ!!!!

მგონი, ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო.

უამრავი ხალხი იყო ყველგან... ყვიროდნენ, ცეკვავდნენ. სასტუმრომდე ვერ მივაღწიეთ ავტობუსით. პოლიციამაც ვერ შეაჩერა ხალხი. შხაპიც არ მიგვიღია, მაისურები გამოვიცვალეთ და ხალხთან გავედით ცერემონიაზე. ყველა მღეროდა და თან ტიროდა. ბედნიერების ცრემლები...

ის დღეები დაუვიწყარია.

საქართველოს ისტორიაში შევედით.

ახლა კი... რა თქმა უნდა, გვაქვს შანსი. რატომაც არა?! რატომ უნდა ვთქვათ არა?

თურქეთის წინააღმდეგ ვთამაშობთ და მერე ჩეხეთთან და პორტუგალიასთან. ძნელი იქნება? იქნება. მწარე იქნება? იქნება. ვთხოვ თუ არა კრიშტიანუ რონალდუს მაისურს? შეიძლება. ალბათ ვთხოვ. კაი, ვთხოვ ნამდვილად. რატომაც არა? ჩემი კერპია და ვეტყვი კიდევაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოგება არ შეგვიძლია.

ფეხბურთი ფეხბურთია. არავინ არასოდეს არ იცის რა და როგორ მოხდება. ხო არავინ ფიქრობდა, რომ საერთოდ გავიდოდით ჩემპიონატზე?!

ახლა ისევ არ სჯერათ. ამბობენ, საქართველოს შანსი არ აქვსო.

ყველა ამას იძახის.

მაგრამ, მე იცი, რას გეტყვი?

მე ასე ვიტყვი...

აბა, ჯერ ქართველებს ჰკითხეთ... •

# ნაცისტებსა და კომუნისტებს ავსტრიული ფაშიზმი მართავდა


ასე დაიწყო ავსტრიის გადაყლაპვა

**Anschluss!** ეს გერმანული სიტყვა შეერთებას ნიშნავს და, ისტორიული გაგებით, ის 1938 წლის ავსტრო-გერმანულ პოლიტიკურ გაერთიანებაზე მიუთითებს. შუა-საუკუნეებში, დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე, რამდენიმე სამეფო შეიქმნა, ანუ გერმანიის ერთი მთლიანი სახელმწიფო არ არსებობდა. უფრო გვიან კი, გერმანია რელიგიური ნიშნით დანაწევრდა: ჩრდილოეთში პროტესტანტები ცხოვრობდნენ და სამხრეთში, კათოლიკეები. გერმანული წარმოშობის ხალხებს ყოველთვის ჰქონდათ ამ მიწების გაერთიანების სურვილი, მაგრამ სურვილი სურვილად რჩებოდა. გამოხდა ხანი და ამ დიდ ევროპულ მიწაზე ორი ძლიერი ქვეყანა ჩამოყალიბდა: პრუსიის სამეფო, დედაქალაქით ბერლინში და ავსტრო-უნგრეთის იმპერია, რომლის მთავარი ქალაქი ვენა იყო. ასე შეიქმნა მიზიდულობის ორი გერმანიკული კულტურული ცენტრი, ბერლინი და ვენა. პროტესტანტები უფრო ბერლინსკენ ილტვოდნენ, კათოლიკეებს კი ვენისკენ მიუწევდათ გული. მაგალითად, კათოლიკური მრწამსის დიდი კომპოზიტორების, მოცარტისა და ბეთჰოვენისთვის სწორედ ქალაქი ვენა იყო სავანე. ერთი სიტყვით, ბერლინი და ვენა ერთმანეთს ეჯიბრებოდა სოციალურ-კულტურული გავლენისთვის, რაც დროთა განმავლობაში ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირებად იქცა. საკითხი ასე იდგა: რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო ლიდერი გერმანული წარმოშობის ერებს შორის?! წინაღმდეგობამ კულმინაციას მე-19 საუკუნის ბოლოს მიაღწია, როცა პრუსიის სამეფომ, ბისმარკის თაოსნობით, თავი გერმანიის იმპერიად გამოაცხადა. დაპირისპირება სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა, რომელშიც ავსტრია დამარცხდა. გამარჯვებულმა პრუსიამ გერმანიის დანარჩენი სამეფოები შეიერთა. ავსტრიამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ახლა მისი მოსახლეობა გაიხლიჩა ორად: ერთნი გერმანიასთან შეერთებას, მეორენი კი, ავსტრიის სუვერენიტეტის გაძლიერებას ითხოვდნენ.


ოტო ფონ ბისმარკი


ბენიტო მუსოლინი


კურტ შუშნიგი

პირველმა მსოფლიო ომმა ეს ორი მოწინააღმდეგე ქვეყანა მოკავშირეებად აქცია. ომის წაგებით, ავსტრიამ ადრე დაპყრობილი ყველა მიწა დაკარგა, რამაც, ავსტრიის მოსახლეობაში კიდევ უფრო გაზარდა გერმანიასთან გაერთიანების სურვილი. ეს კი, ავსტრიის მძლავრი, მდიდარი და ამაყი ელიტისთვის შეურაცხმყოფელი რამ იყო. იმ დროს, ავსტრიის დედაქალაქი ვენა ევროპის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა, რომლის გერმანიის რიგით ქალაქად გადაქცევა ავსტრიულ ელიტას ვერც კი წარმოედგინა. მხოლოდ პროვინციული ავსტრია ისწრაფვოდა გერმანიასთან შეერთებისკენ. სწორედ, პროვინციული ავსტრიიდან იყო მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ადოლფ ჰიტლერი, რომელიც თავს ავსტრიელად კი არა, გერმანელად მიიჩნევდა, ავსტრიას კი, გერმანიის ისტორიულ ნაწილად.

გასაკვირი არ არის, რომ ჰიტლერმა, გერმანიის სათავეში მოსვლისთანავე, ავსტრიის გერმანიასთან შეერთების საკითხი წამოსწია წინ. **Anschluss**-ს ანუ გაერთიანებას კი, ხელს ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებები უშლიდა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიდო. მაშინ გამარჯვებულმა ქვეყნებმა აგრესორი ქვეყნები, გერმანია და ავსტრია, აიძულეს, ხელი მოეწერათ ხელშეკრულებებზე, რითაც ევროპის ქვეყნები გერმანიის გაძლიერების თავიდან აცილებას ცდილობდნენ.

**ჰიტლერის აღზევებას თავად ავსტრიაში ქაოსი მოჰყვა, სადაც პოლიტიკური ცხოვრების წესს რადიკალები ადგენდნენ. ქვეყანაში სამი დაპირისპირებული ძალა მოქმედებდა: კომუნისტური, ნაცისტური და ავსტრო-ფაშისტური, რომელიც იდეოლოგიურად ახლოს იდგა იტალიურ ფაშიზმთან და რომელსაც მუსოლინი მეთაურობდა.**

ნაცისტებსა და კომუნისტებს ავსტრო-ფაშიზმი ეკალივით ესობოდათ თვალში. მმართველ დიქტატურასთან მათმა დაპირისპირებამ კულმინაციას 1934-წელს მიაღწია. თებერვლის დასაწყისში, კომუნისტებმა, ივლისში კი, ავსტრიელმა ნაცისტებმა ავსტრიაში პუტჩის მოწყობა სცადეს. სახელმწიფო გადატრიალების ორივე მცდელობამ, რომელმაც ბევრი ადამიანი შეიწირა, მარცხი განიცადა. ნაცისტების პუტჩის დროს, ავსტრიის კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი მოკლეს. კანცლერის ადგილი მისმა მოადგილემ და თანამებრძოლმა კურტ შუშნიგმა დაიკავა, რომელმაც ქვეყანაში კომუნისტებისა და ნაცისტების მოღვაწეობა აკრძალა. ჰიტლერმა იწყინა ეს ამბავი, მაგრამ იცოდა, რომ შუშნიგს ბენიტო მუსოლინი უჭერდა მხარს. მან **Anschluss**-ის დროებით შეჩერება გადაწყვიტა და მისთვის ხელსაყრელ დროს დაელოდა.


ჰიტლერმა მთელი ავსტრია მანქანების ესკორტით გადაკვეთა.

ჰიტლერი, მიზნის მისაღწევად, ორ ფრონტზე მოქმედებდა: ერთი, ავსტრიის მოსახლეობის გადმობირება იყო და მეორე, მუსოლინისა და ევროპის ქვეყნების **Anschluss**-ზე დათანხმება. ადოლფ-ჰიტლერმა ორივე ფრონტზე მიაღწია წარმატებას. ავსტრია ნაცისტებითა და მათი მხარდამჭერებით იყო სავსე.

1937 წელს გერმანიის ქალაქ ობერზალცბერგში ჰიტლერი ბრიტანეთის ლორდთა პალატის ლიდერს ედვარდ ჰალიფაქსს შეხვდა, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისი და საფრანგეთი **Anschluss**-ის წინააღმდეგ არ წავა.

დაბრმავებული ევროპა ჰიტლერს ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდად მიიჩნევდა. ჰიტლერი კი, ოსტატურად იყენებდა ევროპის მიამიტობას. ჰიტლერ-ჰალიფაქსის შეხვედრის შემდეგ, მუსოლინიც დათანხმდა **Anschluss**-ს, რამაც, პრაქტიკულად, ავსტრიის ბედი გადაწყვიტა. 1938 წლის 12 თებერვალს ავსტრიის კანცლერი შუშნიგი ადოლფ-ჰიტლერს ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ჰიტლერმა შუშნიგს ულტიმატუმი წაუყენა, რომელიც სამი პუნქტისგან შედგებოდა: ავსტრიელი ნაცისტების ლეგალიზაცია; ნაცისტების ლიდერის არტურ ზაის ინკვართის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა; ავსტრიის საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის ნაცისტური გერმანიისთვის დამორჩილება.

კედელთან მიყენებულმა შუშნიგმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რითაც ავსტრია გერმანიის ვასალი გახდა. სამშობლოში დაბრუნებულმა კანცლერმა კიდევ ერთხელ სცადა ავსტრიის სუვერენიტეტის ხსნა: 13 მარტს **Anschluss**-ის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. გაღიზიანებულმა ჰიტლერმა შუშნიგს კიდევ ერთხელ წაუყენა ულტიმატუმი, რომლის მიხედვით, შუშნიგი უნდა გადამდგარიყო და ავსტრიის კანცლერი არტურ ზაის ინკვართი გამხდარიყო. ავსტრიის დამოუკიდებლობის ბოლო სამი დღეღა რჩებოდა. მოვლენები სწრაფად განვითარდა: 11 მარტს შუშნიგმა რადიოთი მიმართა ავსტრიის მოსახლეობას, რომ ჰიტლერის ულტიმატუმს ღებულობდა, რეფერენდუმს აუქმდებდა, თავად გადადგებოდა და ქვეყნის მეთაური არტურ ზაის-ინკვართი ხდებოდა. კანცლერის გამოსვლიდან ზუსტად ერთ საათში, ავსტრიელმა ნაცისტებმა მთელს ქვეყანაში გერმანული რაიხის დროშები გამოფინეს. 12 მარტს ავსტრიის პრეზიდენტმა არტურ ზაის ინკვართი კანცლერად დანიშნა. იმავე დღეს ავსტრიის მესაზღვრეებმა გზა გაუხსნეს გერმანიის მთავრობასა და არმიას. ჰიტლერი ვენაში თვითმფრინავით არ ჩასულა. მან მთელი ავსტრია მანქანების ესკორტით გადაკვეთა. ჯერ, თავის მშობლიურ ქალაქ ლინცში შეიარა, მერე, დედაქალაქისკენ განაგრძო გზა. გზაზე მას ათასობით ადამიანი ხვდებოდა და ყვავილებს ესროდა. 15 მარტს ადოლფ ჰიტლერმა ვენის სასახლის აივნიდან მოედანზე შეკრებილ ზღვა ხალხს სიტყვით მიმართა. ავსტრიელ ხალხს სამშობლოში დაბრუნება მიულოცა. აი, ასე შედგა ის ცნობილი **Anschluss**-ი, ანუ ავსტრია გერმანიის ნაწილად გამოცხადდა. ავსტრიის მოსახლეობის უმრავლესობას მართლა მიაჩნდა, რომ სამართალმა პური ჭამა და კარგი ცხოვრების დრო დადგა.

მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებმა კი, სულ სხვა რამ ცხადყო. ავსტრიამ დამოუკიდებლობა მხოლოდ ნაცისტური გერმანიის დამარცხების შედეგად დაიბრუნა!



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**




## დადუნ თურქაძე

**...მოდით, თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ, ჩვენ წავალთ ჩვენთვის**

1
რა დიადი ხარ, რა ამაყი,
რა მიმზიდველი!
ოქროს გვირგვინით
მშვიდობის შუქს
აფრქვევ პლანეტას,
მერე რა ვუყოთ, თუ ეს სითბო
გვიან ვიგრძენით,
სამაგიეროდ, მოხიბლულნი
გყავდით გარედან!
2
ვიცი, რომ შენთვის
სულ ერთია
ხოტბაც, ძაგებაც,
ჟამთა ბრუნვაში გამობრძმედილს
შუბლი გაქვს რვალის,
ხის ორთვალიდან
ჯერ იქეცი ლიანდაგებად,
მერე შორს და შორს გააპარე
ქორივით თვალი!
3
და, როცა შექმენ ვარსკვლავეთის
მყარი პოლუსი,
უმალ შეეშვი რომანტიკულ
წარსულით ტკბობას,
კვალდადებული ევროპისგან,
მძაფრი ტონუსით,
ახლა აქეთკენ მოუბრუნდი
თავად ევროპას.
4
და დამუხტული ჰუმანური
სულისკვეთებით,
შორიდან უჭვრეტ, ვის რა სტკივა,
რა აბადია,
როგორც შეატყობ, ხან დატუქსავ
ლასოს ღვედებით,
ხან კი სათნო და მიამიტი
ხდები გადია!
5
ამ შემთხვევაში, გვერდს ავუქცევ
ალეგორიას,
მართლაცდა, ბევრი შეგიფარავს
ხელგამოწვდილი,
თუმცა, რაც უფრო ახლოსა ხარ,
ასე მგონია,
უფრო შორია შენს გულამდე,
მაინც, მანძილი!
6
შორს...მთის კალთებზე დაივანა
ფიქრთა კარავმა,
ვშლი წარმოსახვებს, ღირსეული,
რომ გიძღვნა ოდა,
იქნებ, ვინ იცის მე ვარ, შენთვის
ახლა არავინ,
და, ჩემი დრტვინვა მიიჩნიო,
უბრალოდ ბოდვად?!
7
ჩემი ასეთი სითამამე
შენი ბრალია,
ცხარე ცრემლისთვის
მზად გაქვს , თურმე, მუდამ პეშვები
და დღენიადაგ ჩვენზე წუხარ
ისე ძალიან,
მოწყალე გულის ჭირისუფალს
როგორც შეშვენის!
8
გვეტყობა, მართლაც, მადლმოსილი
ყველა სიკეთე,
დემოკრატიის ტევრს მივყვებით
ჩამქრალ ნათურით,
„ვიაჩესლავის“ კოქტეილით
ვნამავთ პიკეტებს,
რომ სავარძლები გახალისდნენ
ახალ ნატურით!
9
და აქ, „ჯუნგლებში“,
ლაღად მზირალთ, ევრო ჩვრებიდან,
დაგვჩემდა მედგრად გარჯის ნაცვლად,
ცალფად ფაფხური,
და თავდახსნილებს
უფროსი ძმის მორჩილებიდან,
ეტყობა, ორი მებატონის,
ვხდებით მსახური!
10
მამულზე ფიქრი ეწირება
გლობალურ დოგმებს,
ჯერ ვერ მივმხდარვართ,
სად შუქია, სად ღრუბელია,
ვაჰმე, რომ ჩუმად კულისებში
გულდასმით გჭობენ –
აბა, რომელი:
ვილაიეთი თუ გუბერნია?!
11
ფარული დარდი გადაკვრია
ბკედ გულისფიცარს,
ოდითგან დაგვყვა
ჭირთა თმენა და ცრემლთა მალვა,
ნუთუ არ გიკვირს, როგორ უძლებს
ეს ციდა მიწა
ამდენ ქარტეხილს, ამდენ უძღებ
მზაკვართა ლალვას?!
12
განა, ვერ ვხვდებით,
რომ სულ სხვა გაქვს დღეს საზრუნავი
ფრთხილი ნაბიჯით
დათვის ბუნაგს უვლი შორიდან,
და, ვით მტევნები,
სხვისი ფეხით დასაწურავი,
ჩვენც გატრუნული ვიმზირებით
სხვის სასწორიდან!
13
რაღა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა,
ხვალ რა იქნება?
თქვენც საწუწკართან
ერთად მზად გაქვს
ჩუმადწკეპლები,
არ გაგვიტაცოს
ემანდ, ქვეყნის გეზზე ფიქრებმა,
გზაგასაყარზე ფხიზლად დგანან
თქვენი მხევლები!
14
და, როცა ასე, უშფოთველი,
თავს გვადგას დარი,
მოვალეობაც დავივიწყეთ
მოძმის გატანის,
სხვისმა მეტრფენმა
ვერც გავიგეთ,
როდის, რა ძალით
შემოგვისახლდა აქეთ, სახლში
ასლი სატანის!
15
დემოკრატიულ ქარიშხალში
მკვდრებად შობილნი
შლიან წარსულს და ახატავენ
დასავლურ ედემს,
და „პატრონებიც,“ მეგობრული
სახის პროფილით,
არ იშურებენ თანაგრძნობას
და დივიდენდებს!
16
სჯობს, კოლონიურ გემოვნების
იგრეკ-იქსები,
ნუ აირჩევენ ჩვენს მოედნებს
„მაიდნის“ ტესტად,
რომ „თითის ქნევა“ შელახვაა
ქვეყნის ღირსების
და ამგვარ წადილს ვერ მივიღებთ,
მეგობრულ ჟესტად!
17
და კიდევ, ერთიც, როს იქუხებს
ფეიერვერკი,
„დისნეი ლენდის“ ტყის სამყაროც
ცას შესძრავს წყრომით,
რომ შეახსენო აჩემებულ
ჯოსა და ჯეკის
არ დაავიწყდეთ ფეხადგმული
„მესამე რომი!“
18
ვაითუ, ალმაც კი იფეთქოს
რაზლივის ქოხში,
ცივ მაგადანით შეიცვალოს
თბილი დუბაი,
ევროპელებიც გაიცურცლონ,
ვით იმ „ტკბილ“ დროში
და შენც გაღმიდან, გულდამწვარმა
გვითხრა: „ გუდ ბაი“!
19
ალბათ, არ განსჯი რამე კილვად
ქვეტექსტს ქარაგმის,
რა ვუყოთ, თუკი, მეც სათქმელი
მთლად ნათლად ვერ ვთქვი,
ჩათვალე, როგორც შეგონება
ძველი არაკიც–
მოდით, თქვენ კარგად
ბრძანდებოდეთ!
ჩვენ წავალთ ჩვენთვის...

# ერთი ასოს გამოკლებით!

## (იუმორესკა)

**ამას წინათ** ტელეარხ „სარაფანზე“ ევგენი პეტროსიანის ხანდაზმულმა პერსონაჟმა კროსვორდი შეადგინა და შეამოწმა — რამდენად გამოცნობადია კითხვები.

მიმართავს მეუღლეს:

— ანუ კა, ბაბულია, უ ტებია ვედ ხაროშაია პამიატ, სკაჟი, კტო ბილ პერვი მუჟჩინა იზ ჩეტირიოხ ბუკვ?

— (სევდიანი სიმორცხვით)...კოლია...




— ნე პალუჩაეტსია. ნა „ემ“ კანჩაეტსია.

— (ნაკლები სიმორცხვით) ნეტ, ს არამომ ხაჩატურიანომ პოზჟე ბილო...

ერთი სიტყვით, ვერაფრით წამოაცდენინა „ადამი“!

რაც შეეხება კოლიასა და არამს, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირში სექსი იყო, როგორ არ იყო „ანამანიაგალიავალია“-ობა მაგრამ, ახლა რომ ევროატლანტიკელი (იგულისხმება იგივე დასავლეთელი) ელგებეტეელები უხამსობას გვაძალებენ და თან გვემუქრებიან ენტონი ბლინკენის მეთაურობით, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ხალხს ჩვენ ნამდვილად პაპუასებში ვეშლებით!

ქართული ანდაზა გვმოძღვრავს: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო! ამ მაქსიმაში სიტყვათა თანმიმდევრობა უცვლელია. ეს არითმეტიკა არაა, როცა შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება! საკმარისია, მამა-შვილს ადგილები შევუნაცვლოთ, საშინელებას მივიღებთ:



დედა ნახე, შვილი ნახე, მამა ისე გამონახეო! რაც აბსოლუტურად შეესაბამება დღევანდელ დასავლურ ყოფიერებას!

ბოლოს კი, დროა, იუმორესკის სათაურს გამართლება დავუძებნოთ:

### ერთი ასოს გამოკლებით

სექსი გახდა ათი მცნების ანტითეზით დანაღმული:
რაც გვეგონა ბანალური, ის გამხდარა ანალური,
რაც მიგვაჩნდა მორალური, – ბოდიში და, – ორალური,
მარინა კი მიწაში წევს, ცელქი, მაგრამ ნორმალური!

**გიზო ზარნაძე**

ლეგენდა

# ითამაშეთ ჭადრაკი!



**ნიუ-იორკში ჭადრაკში მსოფლიოს კორპორატიული ჩემპიონატი დაიწყო, სადაც მონაწილეებს ქართველი ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი ესაუბრა. ქართველმა დიდოსტატმა, 5-გზის მსოფლიო ჩემპიონმა და 11 საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედალოსანმა, ქართული ღვინისა და სამზარეულოს ფონზე მონაწილეებთან საკუთარი თავის შესახებ ისაუბრა, თუ რა პრობლემებს გადააწყდა საკუთარი სახელის მწვერვალზე ასატანად: „ჭადრაკი ჩემი სამყაროა. ჭადრაკი ჩემი მსოფლიოა. მან მე ცხოვრება გამიხანგრძლივა. ასე რომ, განაგრძეთ ჭადრაკის თამაში, ის ცხოვრებას გაგიხანგრძლივებთ“ – განუცხადა ჭადრაკის დედოფალმა მონაწილეებს. მსოფლიოს კორპორატიული ჩემპიონატი 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება და მასში 5 ქვეყნის 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.**

ხუთი რგოლი

# ჩავარდნაც, იმედიც

**პარიზის ოლიმპიადამდე უკვე წიწილებს ვითვლით-მერე რა, რომ შემოდგომამდე ჯერ შორია.**

წესით, ქართული სპორტის ბოლოდროინდელი აღმავლობის ფონზე უხვი მოსავლით უნდა ვიწონებდეთ თავს, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ალბათობით, წლეულს ანტირეკორდს დავამყარებთ. დიახ, აქამდე მოპოვებული მხოლოდ 25 ლიცენზია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე უარესი ნადავლია.

მეტი სიცხადისთვის, მოდით, უახლოეს წარსულს გადავხედოთ, რაც ნათქვამის ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნებს:

**1996-ატლანტა (34),**
**2000-სიდნეი-(36),**
**2004-ათენი (32),**
**2008-პეკინი (35),**
**2012-ლონდონი( 35),**
**2016-რიო დე ჟანეირო (40), საუკეთესო შედეგია.**
**2020-ტოკიო(35).**

მიუხედავად დროებითი უკუსვლისა, ტრადიციისამებრ, საამაყოც ბევრი გვაქვს და გვწამს, საფრანგეთის დედაქალაქში ქართული ჰიმნი არაერთხელ აჟღერდება.

აბა, როგორ არ უნდა ვიყოთ ოპტიმისტურად განწყობილნი, როცა გვყავს მე-10 ოლიმპიადის (!) მონაწილე **ნინო სალუქვაძე,** პლანეტის უღონიერესი ადამიანი **ლაშა ტალახაძე** ან ჭეშმარიტად ვარსკვლავთკრებული-ძიუდოისტთა ნაკრები? დაუმატეთ მათ სეზონის ლიდერი **სანდრო ბაზაძე** ან თუნდაც წინა თამაშების ფინალისტი **გენო პეტრიაშვილი.**

სხვათა შორის, როცა ამ უკანასკნელზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი ფალავანთა არნახულ ჩავარდნას, რომლებიც ორივე სახეობაში ექვსიოდე ლიცენზიას დაეუფლნენ (ბერძნულ-რომაული სტილი-2 და თავისუფალი სტილი-4). არადა, როგორც მოგეხსენებათ, მოჭიდავეები მედლების ძირითად ყულაბას წარმოადგენენ.

თუმცა, ლაშა ტალახაძის სამშობლოს პესიმიზმში ჩავარდნა არ ეკადრება და ამის დასტურად საბერძნეთში დაწყებული ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატიც გამოდგება, სადაც 15-წლამდელებში 55კგ. წონით კატეგორიაში გაჩაღებული ბრძოლა **გიორგი ქინქლაძის** ტრიუმფით დასრულდა-3 ოქრო ორმჭიდში, ატაცსა და აკვრაში, **შოთა კაკაბაძემ** კი ამავე წონაში ბრინჯაო მოიხვეჭა (აკვრა).

ასე რომ, გაგრძელება იქნება.




უმაღლესი სკოლა

# რაგბიშიც რჩეულნი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი თბილისის შვიდკაცა რაგბის ტურნირის გამარჯვებულია.**

უნივერსიტეტის ცნობით, გუნდის შემადგენლობაში არიან: **თემურ ცხოვრებაძე, ბექა ჯინჭველაძე, ერეკლე თათარაშვილი, არჩილ იაშაღაშვილი, ლეგური ჭიჭინაძე, ნიკა შველიძე, დავით ბოჭორიძე, ნიკა ტაბატაძე, ირაკლი ტაბატაძე, ნიკა გოგლიძე, მიშო მალაციძე და ნიკა გოდერიძე.**

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის საუნივერსიტეტო შვიდკაცა რაგბის ტურნირი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს რაგბის კავშირის ორგანიზებით ჩატარდა და მასში საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები მონაწილეობდნენ.

როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტის მიმართულების ხელმძღვანელი **არჩილ იოსელიანი** აცხადებს, შვიდკაცა რაგბის გუნდი 2002 წლიდან მონაწილეობს ტურნირებში და ამ 22 წლის განმავლობაში არაერთი გამარჯვება მოიპოვა.



**„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შვიდკაცა რაგბის გუნდის გამარჯვება მწვრთნელების ირაკლი გიორხელიძის, დიმიტრი კალანდაძის და სტუდენტების დაუღალავი შრომის შედეგია, მათი წარმატება კი პირდაპირ უკავშირდება რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის სურვილს ააღორძინოს უნივერსიტეტის სპორტული ტრადიციები, რისთვისაც ძალისხმევას არ იშურებს და შედეგებიც სახეზეა. აღსანიშნავია, რომ ტურნირის მიზანია საქართველოში რაგბის პოპულარიზაცია. ჩვენ ვირჩევთ ჯანსაღი ცხოვრების წესს და რაგბი ჩვენი თამაშია. მადლობა მინდა გადავუხადო ტურნირის ორგანიზატორებს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს და შვიდკაცა რაგბის გუნდის მთელ შემადგენლობას. წარმატებას ვუსურვებ უნივერსიტეტს“,** – აცხადებს არჩილ იოსელიანი.

სტუ-ის ინფორმაციით, თბილისის შვიდკაცა რაგბის ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ სტუ-ის შვიდკაცა რაგბის გუნდის წევრი **ნიკა შველიძე** დასახელდა.

კოპა ამერიკა

# იწყება 48-ე!

**ევრო-2024-მა დროებით მიგვავიწყა სამხრეთამერიკული ფეხბურთი, მაგრამ სამართლიანობა მალევე აღდგება-ზეგ შეერთებული შტატების სტადიონებზე კოპა ამერიკა იწყება და გულშემატკივრებს უკვე ორ ფრონტზე მოგვიწევს რჩეულთა ქომაგობა, გახსნის მატჩში მონაწილეობის პატივი კი მოქმედ ჩემპიონ არგენტინასა და კანადას ხვდათ წილად.**



ვიდრე ახალ სამყაროში ბრძოლები გახურდება, მოდით, მცირედი ექსკურსი მოვაწყოთ წარსულში და სტატისტიკური მონაცემები გავიხსენოთ.

ყველაზე მეტი მონაწილეობა-**ურუგვაი** (45).

ყველაზე მეტი ტიტული-**არგენტინა, ურუგვაი** (15-15).

ყველაზე მეტი ფინალი-**არგენტინა** (29).

ყველაზე მეტი მატჩი-**ურუგვაი** (206).

ყველაზე მეტი მოგება-**არგენტინა** (124).

ყველაზე მეტი გატანილი გოლი-**არგენტინა**( 465).

ბომბარდირები-**მენდესი** ( არგენტინა), **ზიზინიო** ( ბრაზილია)-17-17 გოლი. მოქმედ ფეხბურთელთაგან საუკეთესოა **მესი** (არგენტინა)-13 გოლი და, სავარაუდოდ, იგი ლიდერიც გახდება.

ყველაზე მეტი მატჩი-**ლივინგსტონი** (ჩილე) და მესი-34-34.

ყველაზე მეტი ტიტული-**რომანო** (ურუგვაი)-6.

ყველაზე მეტი შედეგიანი გადაცემა საერთოდ და ერთ ტურნირზე-17 და 5 შესაბამისად (მესი).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეები 1987 წლიდან-**ვალდერამა** |(კოლუმბია), **სოსა** (ურუგვაი), **რონალდო, რივალდო** (ორივე ბრაზილია), **გევარა** (ჰონდურასი), **ადრიანო, რობინიო**(ორივე-ბრაზილია), **სუარესი** (ურუგვაი), მესი( ორჯერ), **სანჩესი** (ჩილე), **ალვეში** (ბრაზილია).

**ჩემპიონთა გალერეა:** არგენტინა, ურუგვაი-15-15, ბრაზილია-9, პარაგვაი, ჩილე, პერუ-2-2, კოლუმბია, ბოლივია-თითოჯერ.

და ბოლოს-ისევ გერმანული ევროფორუმი და **„ე“ ჯგუფში** განვითარებული სენსაციური მოვლენები: ჯერ იყო და უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე უკრაინა შერცხვა რუმინეთთან – 0:3(!), ხოლო შემდეგ უკვე ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა ბელგიამ „გამოაცხო“ ხმაურიანი 0:1 სლოვაკეთთან.

სამაგიეროდ, დაგეგმილი ქულების მოპოვებით ჩაებნენ ტურნირში **„დ“ ჯგუფის** ჯილებ-ბი, თუმცა არც მათ მიუღწევიათ მიზნისთვის მთლად უღრუბლოდ.

მეტიც-ნიდერლანდები დებიუტშივე მდევრის როლში აღმოჩნდა პოლონეთთან, რომელსაც **ლევანდოვსკი** აკლდა, მაგრამ თამაშის შემოტრიალება მაინც შეძლო-2:1 (**გაკპო, ვეგჰორსტი**), ხოლო საფრანგეთმა ავსტრიასთან **ვებერის** ავტოგოლი იკმარა-1:0.

დღეს მე-2 ტური იწყება.

ნბა

# 18-გზის!



**„ბოსტონ-სელტიქსი“ მე-18-ედ დაეუფლა ოქროს ბეჭდებს, რაც ნბა-ს აბსოლუტური რეკორდია.**

ეს ტიტული **ტეიტუმის, ბრაუნის, უაიტის, ჰორფორდისა და პორზინგისის** თაობამ მოიხვეჭა. როგორც მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი ლატვიელია და ჩვენი ეროვნული ნაკრების მეტოქეა პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რაუნდში, რომელსაც 2-7 ივლისს მისი მშობლიური რიგა უმასპინძლებს.

ბოსტონელთა ტრიუმფს შეუფასებელს ხდის ფინალურ სერიაში მათ მიერ დამარცხებული დალას მავერიქსის ფაქტორი, რომელშიც **დონჩიჩი** და **ირვინგი** ბრწყინავენ-106:88 (4:1).

მოკლედ, სლოვენიელი ჯადოქარი ისევ ვერ შესწვდა ოლიმპს.

# პრემია „ელისომ“ გამარჯვებულები გამოავლინა




**გურჯაანში, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში, ნატო ვაჩნაძის ფონდის ორგანიზებით, პრემია „ელისოს“ პირველი დაჯილდოება გაიმართა.**

ქართველი და საერთაშორისო კინემატოგრაფისტებისგან შემდგარი ჟიურის გადაწყვეტილებით, ქართულ კინოში გასულ წლის სამი გამორჩეული ნამუშევარი დაჯილდოვდა.

საუკეთესო რეჟისორი – **ელენე ნავერიანი**, ფილმისთვის **„შაშვი, შაშვი, მაყვალი“.**

საუკეთო მსახიობი – **ეკა ჩავლეიშვილი,** ფილმისთვის **შაშვი, შაშვი, მაყვალი“..**

საუკეთესო ოპერატორი – **ლომერ ახვლედიანი**, ფილმისთვის „ღიმილიანი საქართველო”

დაჯილდოების პარალელურად გურჯაანში, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში, ნატო ვაჩნაძის დაბადებიდან 120 წელიც აღინიშნა.

„ელისო“ ნიკოლოზ შენგელაიას ყველაზე წარმატებული ფილმია, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ქართული ავანგარდის დასაწყისი, რომელიც ნოვატორული თხრობითა და მონტაჟით გამოირჩევა. ქართულ მუნჯ ფილმებში ტენდენციურად ქალის ფიგურა ჩაგრული და მსხვერპლია, ფილმის მთავარი პერსონაჟი ელისო კი დინების წინააღმდეგ წასული გმირია. ელისოს როლს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი ნატო ვაჩნაძის და კირა ანდრონიკაშვილი ასრულებს.

პრემია „ელისო” ნატო ვაჩნაძის ფონდის პირველი პროექტია. ფონდი კინემატოგრაფისტების და ოჯახის წევრების ინიციატივით 2023 წელს დაარსდა.

„ელისოს” გენერალური მხარდამჭერია თიბისი. მთავარი პარტნიორები კი არიან გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება, თეგეტა, კოკა-კოლა, გალფი, სარაჯიშვილი და სხვ.




# ისრაელის პრემიერმა ომის კაბინეტი დაითხოვა



**ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ექვსწევრიანი ომის კაბინეტი დაითხოვა, – ამის შესახებ ინფორმაციას Reuters-ი ისრაელის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს.**

როგორც გამოცემა წერს, ბენიამინ ნეთანიაჰუს მხრიდან ეს ნაბიჯი მოსალოდნელი იყო მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ომის კაბინეტი ბენი განცმა დატოვა. მან გადაწყვეტილების მიზეზად ის დაასახელა, რომ ისრაელის პრემიერმა ღაზაში მიმდინარე ომის სტრატეგია ვერ ჩამოაყალიბა.

გამოცემისვე ცნობით, მოსალოდნელია, რომ ნეთანიაჰუ ომის შესახებ კონსულტაციებს გამართავს მინისტრთა მცირე ჯგუფთან, მათ შორის თავდაცვის მინისტრ იოავ გალანტთან და სტრატეგიულ საქმეთა მინისტრ რონ დერმერთან, რომლებიც ომის კაბინეტის შემადგენლობაში იყვნენ.

# საუდის არაბეთის საკულტო ქალაქ მექაში მომლოცველები დაიღუპნენ

**საუდის არაბეთში სიცხის შედეგად დაღუპულ მომლოცველთა რიცხვი გაიზარდა.**



საუდის არაბეთში ჰაჯისთვის ჩასული 19 მომლოცველი დაიღუპა. ამის შესახებ Deutsche Welle წერს.

გამოცემის ინფორმაციით, გარდაცვლილთა უმეტესობა სიცხეს ემსხვერპლა. საუდის არაბეთში ჰაერის ტემპერატურა 47 გრადუსს აღემატება.

# ინდოეთში სარკინიგზო კატასტროფას მსხვერპლი მოჰყვა



**„ბიბისის” ინფორმაციით, ინდოეთის დასავლეთ ბენგალის შტატში სარკინიგზო ავარიის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა, 20-ზე მეტი კი დაშავდა.** სატვირთო მატარებელი გაჩერებულ სამგზავრო მატარებელს შეეჯახა. უცნობია, რა გახდა შეჯახების მიზეზი.

ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ გამოძიება აუცილებლად ჩატარდება.

## სანთელი

# კოკა გვაზავას ხსოვნა



სიყვარულის, სიკეთის, ოცნების გზით გივლია...

დიდი გზა გქონდა გასავლელი, მაგრამ, სამწუხაროდ, შუა გზაზე შემოგღამებია...

კოკა, უდიდესი გულისტკივილით ვიგონებთ შენს ბავშვობას, მუდამ ღიმილიან სახეს, ოცნებით გაცისკროვნებულ თვალებს, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდი, ისე დადიოდი...

ჩვენო კეთილშობილო და ძალზე უბრალო ადამიანო, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილო, განუმეორებელი ხიბლითა და ქართველი კაცის სილაღით, იუმორით გამოირჩეოდი.

შენი სისადავით, უანგარობით, თავმდაბლობით ყველას სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდი.

მუდამ გვემსახსოვრება ინტელექტუალური, სიმშვიდით გამორჩეული მოკრძალებული ახალგაზრდა.

ვაი, რომ შენი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. დარჩი მოუშუშებელ ტკივილად შენი ოჯახისთვის–ერთადერთი ვაჟისთვის, მეუღლისთვის და იმ უნუგეშო დედისთვის, რომლისთვისაც ერთადერთი ოცნება და ცხოვრების მიზანი იყავი.

სასოწარკვეთილმა დედამ გაგაცილა უკანასკნელ გზაზე იმ რწმენით, რომ შენი მშვენიერი სული ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებს.

**პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის პედაგოგები.**

## ხსოვნა

**თსსუ ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლელა ამირანაშვილს მეუღლის**

# კახა მურვანიძის

**გარდაცვალების გამო.**

## სულიერება

# მამადავითობა თბილისში





**19 და 20 ივნისს, ამაღლების შემდგომ ოთხშაბათს და ხუთშაბათს, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს დოდო გარეჯელს, დავით გარეჯელს და მის მოწაფეს ლუკიანეს.**

„დოდო გარეჯელის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. მას დაუარსებია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ( დოდორქა). დოდო კახეთის მკვიდრი ყოფილა და დავით გარეჯელის ღვაწლის გახმაურების შემდეგ გადაუწყვიტავს, თავისი ბედი დავითის მიერ საფუძველჩაყრილი მონასტრისთვის დაეკავშირებინა“.

... საგულისხმოა, რომ დავით გარეჯელი ნათესავი იყო იოანე ზედაზნელისა. იოანე ზედაზნელის თორმეტმა მოწაფემ სამონასტრო ცხოვრება დაამკვიდრა ქალწულ ნინოს მიერ მოქცეულ საქართველოში. ეს ის მონასტერია, სადაც ყოველი წლის ოც მაისს ზედაზნის მონასტერში მლოცველები სასწაულის მოწმენი ხდებიან. ამ დღეს ტაძრის კედლები მთლიანად იცვარებოდა და წმინდა წყალი გადმოდიოდა, ხოლო დავითი იმ 12 რჩეულთაგანი იყო, რომელთაც ზედაზენთან ერთად ქართლში წამოსვლა ხვდა წილად.

თავდაპირველად მამა დავითმა სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია, ბერ ლუკიანესთან ერთად. ბერებმა თბილისის დასავლეთით, მთის ფერდობზე, აირჩიეს გამოქვაბულში ცხოვრება...

**P.S.** თბილისის მფარველი წმინდანის დავით გარეჯელის მადლი შეეწიოს მის მოსახელე მამებს – დავით ჩიტაძეს, დავით შენგელიას და სრულიად საქართველოს.

**გიული ლიპარტია**

# ჩიჩხიტურის კოშკის მიმდებარედ გარეჯობის სახალხო დღესასწაული აღინიშნა



**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში, ჩიჩხიტურის კოშკის მიმდებარედ, გარეჯობის სახალხო დღესასწაული მასშტაბურად აღინიშნა.**

გარეჯობას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, პარლამენტის წევრი დავით სონღულაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

გიორგი ალადაშვილმა სახალხო დღესასწაულზე დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და გარეჯობა მიულოცა.

გარეჯის სახალხო დღესასწაული დავით გარეჯის დიდ სამონასტრო კომპლექსთან XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იმართება. 1988 წლის შემდეგ, ეს დღესასწაული მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს მცირე მასშტაბით აღინიშნა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით აღნიშნული დღესასწაული 2018 წლის 21 მაისს აღდგა, როგორც მუნიციპალიტეტის სახალხო დღესასწაული.

დღესასწაულზე მოსულ სტუმრებს დახვდათ თემატური, საგამოფენო, საბავშვო-გასართობი და სახელოვნებო სივრცეები. მოეწყო ფოტოგამოფენა სახელწოდებით გარეჯობის ისტორიები;

პანტომიმის მსახიობებმა წარმოადგინეს პერფორმანსი „გარეჯულა“.

გაიმართა ცხენოსანთა დოღი, ჩატარდა ტრადიციული ქართული კერძების მასტერკლასები და ღვინის დეგუსტაცია.

საკონცერტო ნომრები ანსამბლმა „შავნაბადამ“, ოთო ბაზერაშვილმა და პროექტ „რანინას“ მონაწილეებმა შეასრულეს.

ასევე, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების „კასლეთილა“ -ს და „იმედი“-ს მიერ შესრულებული ნომრები.

# ლია ბაგრატიონის ფერწერული ნამუშევრების პირველი გამოფენა



**17 ივნისს „ATINATI“-ის კულტურის ცენტრში ლია ბაგრატიონის პერსონალური გამოფენა გაიხსნა.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ლია ბაგრატიონი თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომელსაც შემოქმედებითი გზის სხვადასხვა ეტაპზე არაერთ მედიუმში უმუშავია. წლების მანძილზე მისი მთავარი სამეტყველო ენა თიხა იყო.

მან 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და 2000-იანებიდან აქტიურად იფინება როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ. განათლებით კერამიკოსი ისტორიულ მეხსიერებაზე აფუძნებს შემოქმედებით ექსპერიმენტებს და ამიტომ მისი ნამუშევრები ტრადიციული ცოდნისა და თანამედროვეობის გადააზრებაა. ის ამისთვის თამამად იყენებს – ქსოვილს, ვიდეოპერფორმანსს, ინსტალაციას, ობიექტს, ქანდაკებას და ფოტოგრაფიას.

ლია ბაგრატიონი ფერწერულ სერიას სახელწოდებით –„ცა ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო” ან ხედი ჩემი ფანჯრიდან – პირველად „ATINATI“-ის კულტურის ცენტრში წარადგენს. სერია სპეციალურად ამ გამოფენისთვის შეიქმნა და სრულ სურათს გვაწვდის ფერწერაში არტისტის შემოქმედებით ძიებებსა და ხედვაზე.

**„არ მიყვარს კომფორტის ზონა და მუდმივად ვცდილობ ამ მდგომარეობას გავექცე“,** ამბობს ხელოვანი.

არტისტი რომ დაეუფლოს სისავსეს, თითქოს სჭირდება სიცარიელე. მისთვის თავისუფლება მუდმივი საზღვრის ძიებაა.

ლია ბაგრატიონი (დაიბადა 1957 წელს) – თანამედროვე ქართველი არტისტი IAC-ის (კერამიკის საერთაშორისო აკადემიის) წევრია. ქართული კერამიკული ხელოვნების და რეწვის ფონდის „თიხის ოფისის“ თანადამფუძნებელი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორია. მისი ნამუშევრები დაცულია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კოლექციებში.



# „ნაყინობანა“ ბოტანიკურ ბაღში

**მალე ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ფესტივალი „ნაყინობანა“ გაიმართება.**




საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით, 29 და 30 ივნისს ''დიდი ნაყინობანა'' გაიმართება. ფესტივალმა სტარტი 2019 წელს აიღო და ყოველწლიურად მასშტაბურ სახეს იძენს.

ღონისძიება „ბასტი ბუბუს“ კონცერტით გაიხსნება. მოსულ სტუმრებს დღის განმავლობაში ანიმაციური გმირები, გასართობი პროგრამა და სხვადასხვა სახალისო აქტივობა დახვდებათ. წარმოდგენილი იქნება ხელნაკეთი ნაყინების მრავალფეროვნება, დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, ჩაერთოს სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებში და დასაჩუქრდეს თემატური პრიზებით.

ფესტივალი ვიზიტორებს ორი დღის განმავლობაში, 29 და 30 ივნისს, 14:00 საათიდან 20:00 საათამდე უმასპინძლებს. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებითა და ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით „ნაყინობანას'' ფესტივალი მეოთხედ გაიმართება.

# მთვარე 18 წლის მერე პირველად გაჩერდება!..



**უახლოეს თვეებში დედამიწელები შეძლებენ დააკვირდნენ იშვიათ ასტრონომიულ მოვლენას – მთვარის დიდ გაჩერებას.**

მოგეხსენებათ, დედამიწის ირგვლივ ბრუნვის დროს, ჩვენს ბუნებრივ თანამგზავრს შეუძლია ჰორიზონტის მიღმა აიწიოს და ჩამოვიდეს 57 გრადუსის ფარგლებში. ყოველ 18 ან მეტ წელიწადში ერთხელ, მთვარე აღწევს თავის უკიდურეს წერტილებს ცაში, რომლებსაც უწოდებენ მცირე და დიდ მთვარის სადგურებს.

ამ წელს, მთვარის ძირითადი პერიოდი ხდება, როდესაც მთვარე ამოდის უკიდურეს წერტილში ჩრდილო-აღმოსავლეთით ან სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩადის უკიდურეს წერტილში ჩრდილო-დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. გარდა ამისა, ის რაც შეიძლება მაღლა ადის.

ბუნებრივია, ასეთი „გაჩერების“ დროს მთვარე ყველაზე დიდ დროს გაატარებს ღამის ცაზე და უფრო კაშკაშად გაანათებს.

მეცნიერთა აზრით, მთვარის გაჩერების პერიოდი პიკს მიაღწევს შემოდგომის ბუნიობის დროს 2024 წლის სექტემბერში და გაზაფხულის ბუნიობის დროს 2025 წლის მარტში.

## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8689; ევრო - 3.0723;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6337;
100 რუბლი - 3.2352; თურქული ლირა - 0.0873;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6887;
1000 სომხური დრამი - 7.3562.

## ამინდი 19 ივნისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე +32 |
| თბილისი: | ღამე | +22, | დღე +35 |

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე:
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი:
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი:
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი:
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი:
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის # 116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790